cityförster
architecture + urbanism

BAU DESIGN

BCI Global

ADB

ქალაქ ახალციხის გენერალური გეგმა

ხედვა & სტრატეგიების დოკუმენტი | 11.06.26

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები: 4

შესავალი და ზოგადი მიმოხილვა 9

პროექტის მიზანი 10

ხედვის ანგარიშის მიზანი 10

ხედვის ანგარიშის სტრუქტურა. 12

ხედვის ანგარიშის მომზადების პროცესი 14

რეგიონული (სამხარეო) კონტექსტი 16

აქტივობებისა და შედეგების აღრიცხვა 19

მონაცემების შეგროვება & დანაკლისების ანალიზი 20

ადგილზე ვიზიტი. 22

კვლევის მონაცემების მიმოხილვა. 24

მონაწილეობითი ადგილობრივი სამუშაო შეხვედრა ხედვის შესახებ 28

სამუშაო შეხვედრის შედეგები 30

სამუშაო შეხვედრის შედეგები 32

დაინტერესებული მხარეების ჰიბრიდული სამუშაო შეხვედრა 34

ხედვა და სტრატეგია 37

ხედვის სტრუქტურა. 38

ხედვა 40

ამოცანები 42

სტრატეგიული სცენარები 59

მიდგომა 60

მიდგომა 62

მიდგომა 64

სცენარი 1: პრაგმატული. 66

სცენარი 2: ადაპტირებადი. 70

სცენარი 3: ტრანსფორმაციული 74

სიცოცხლისუნარიანობის შეფასება. 78

ახალციხის სასურველი გზა 82

რისკები, რეკომენდაციები და შემდგომი ნაბიჯები 85

პროექტის საკითხები და რისკები 86

რეკომენდაციები 88

შემდგომი ნაბიჯები. 89

ელექტრონული დანართები: 91

დანართი 1: SEP 91

დანართი 2: MCA 91

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები:

- **აგრო-ლოგისტიკური ჯაჭვი -** სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის წარმოებიდან საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდების პროცესში ჩართული საქმიანობებისა და ინფრასტრუქტურის თანმიმდევრული სისტემა, რომელიც მოიცავს წარმოებას, შენახვას, გადამუშავებას, ტრანსპორტირებასა და დისტრიბუციას.
- **ადგილოვრივი თემი** - კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთობა, რომლებსაც აკავშირებთ საერთო ინტერესები, კულტურა, ყოფითი პრობლემები და თვითმმართველობის განხორციელების სურვილი.
- **აქტიური გადაადგილება -** გადაადგილები ფორმა, რომელიც ეფუძნება ადამიანის ფიზიკურ აქტივობას (ქვეითად, ველოსიპედით და სხვა არამოტორიზებული საშუალებებით გადაადგილება).
- **ბრაუნფილდი** - ტერმინი ბრაუნფილდი უმეტესწილად გამოიყენება ყოფილი ინდუსტრიული და სხვა ფუნქციური დანიშნულების მქონე ტერიტორიების აღსანიშნად, რომლებიც მიტოვებულია ან დაკარგული აქვთ პირვანდელი ფუნქცია.
- **ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები (NBS) -** ეკოსისტემების დაცვასა და აღდგენაზე დაფუძნებული დაგეგმვისა და საინჟინრო მიდგომები, რომლებიც სოციალურ და გარემოსდაცვით პრობლემებს ბუნებრივი პროცესების გამოყენებით აგვარებს. ურბანული გარემოს სპეციფიკა ასევე შესაძლოა მოიცავდეს ლანდშაფტის არქიტექტურის, ბუნების სისტემების იმიტაციის მეთოდებს.
- **დაინტერესებული მხარეები -** ფიზიკური ან იურიდიული პირები, ჯგუფები ან ინსტიტუციები, რომელთაც გავლენა აქვთ ან გავლენის ქვეშ ექცევიან პოტენციური ქმედების, პოლიტიკის ან გადაწყვეტილების შედეგად.
- **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა** -სტრუქტურირებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მონაწილეობის ფორმებს, ეტაპებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების სისტემური ჩართულობის უზრუნველსაყოფად..
- **დამკვეთი** - სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო (ასევე, სააგენტო)
- **დეინდუსტრიალიზაცია** – ეკონომიკური სტრუქტურის გარდაქმნის პროცესი, რომლის დროსაც მცირდება ინდუსტრიული სექტორის წილი დასაქმებასა და მთლიანი წარმოების მოცულობაში. პოსტსაბჭოთა კონტექსტში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციო- პოლიტიკური ტრანსფორმაციის ფაქტორმა.
- **ეკონომიკური დივერსიფიკაცია** – ეკონომიკის სტრუქტურის გაფართოება სხვადასხვა სექტორის განვითარებით, რაც ამცირებს ერთ ან რამდენიმე დარგზე დამოკიდებულებას.
- **ინტეგრირებული მობილობის სისტემა** – ტრანსპორტის სხვადასხვა რეჟიმის კოორდინირებული და ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან, მისაწვდომ და მდგრად გადაადგილებას.
- **ინტეგრირებული (ურბანული) დაგეგმვა** - ინტეგრირებული გეგმარება აერთიანებს განვითარების სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სივრცით ასპექტებს, რათა უზრუნველყოს დაბალანსებული, მდგრადი და გამძლე ურბანული და ტერიტორიული განვითარება; ის ეფუძნება სხვადასხვა სექტორის კოორდინაციას, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას და დაგეგმარებისა და მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის შეთანხმებას.
- **კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგი** – სისტემის, საზოგადოების ან ინფრასტრუქტურის უნარი, გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ზემოქმედებებს, შეამციროს ზიანი და შეინარჩუნოს ფუნქციონირება.
- **კომპაქტური ქალაქის (ურბანული) განვითარება** – ქალაქის სივრცითი ზრდის მოდელი, რომელიც ეფუძნება სიმჭიდროვის (მართულ) ზრდას, მიწის ეფექტიან გამოყენებასა და ფუნქციების შერეულ განთავსებას.
- **კონსულტანტი**- კონსორციუმი და მისი ქვეკონტრაქტორი კომპანიები და დამოუკიდებელი ექსპერტები.
- **მდგრადი მობილობა –** ტრანსპორტირების სისტემა, რომელიც ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას, ზრდის სოციალურ ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში.
- **მონაწილეობითი პროცესი (დაგეგმვა) –** დაგეგმვის პროცესი, რომელიც მოიცავს მოქალაქეთა, ადგილობრივი თემებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე.
- **მობილობა** – ადამიანებისა და საქონლის სივრცითი გადაადგილების შესაძლებლობა და ინტენსივობა კონკრეტულ ტერიტორიაზე.
- **მრავალკრიტერიული ანალიზი (MCA) –** გადაწყვეტილების მიღების მეთოდი, რომელიც სხვადასხვა ალტერნატივას აფასებს მრავალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმის საფუძველზე
- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვა** – დაგეგმვის მიდგომა, რომელიც გადაწყვეტილებებს ემყარება ემპირიულ მონაცემებს, კვლევით შედეგებსა და ანალიტიკურ შეფასებებს. ასევე, შესაძლებელია ნახსენები იყოს როგორც "მტკიცებულებებზე-დაფუძნებული ჩარჩო/გადაწყვეტილება"
- **მწვანე-ლურჯი ინფრასტრუქტურა** – ბუნებრივ და ნახევრად ბუნებრივ ელემენტებზე დაფუძნებული ქსელი (პარკები, მდინარეები, ჭალები, მწვანე კორიდორები), რომელიც ეკოლოგიურ და სოციალურ ფუნქციებს აერთიანებს.
- **პრობლემების ხის მეთოდი –** ანალიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც პრობლემას განიხილავს მიზეზ- შედეგობრივი სტრუქტურის სახით, ძირეული მიზეზებისა და შედეგების იდენტიფიცირების მიზნით.
- **რეგიონული ცენტრის ფუნქცია –** ქალაქის როლი ფართო ტერიტორიის (მხარის) ადმინისტრაციული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო ან მომსახურების კვანძის სახით.
- **სივრცითი სტრუქტურა** – ქალაქის ან ტერიტორიის ფუნქციების, ქსელებისა და მიწის გამოყენების სივრცითი ორგანიზაციის მოდელი.
- **(სოციო) ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა –** ტერიტორიის უნარი, შეინარჩუნოს მოსახლეობა, ეკონომიკური აქტივობა და სოციალური სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში.
- **სტრატეგიული სცენარები** – შესაძლო მომავლის

განვითარების ალტერნატიული და არგუმენტირებული მოდელები, რომლებიც გამოიყენება დაგეგმვის პროცესში.

- **სტრუქტურული გამოწვევები –** სისტემური ხასიათის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკურ, დემოგრაფიულ ან სივრცით ფაქტორებს და საჭიროებს გრძელვადიან ქმედებას.
- **უნივერსალური ურბანული დიზაინი —** ურბანული გარემოს, საჯარო სივრცეების, ინფრასტრუქტურისა და სერვისების დაგეგმვისა და დიზაინის მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მათ თანაბარ მისაწვდომობას, უსაფრთხოებას, კომფორტულობასა და ფუნქციურ გამოყენებას ყველა ადამიანისათვის, ასაკის, სქესის, ფიზიკური შესაძლებლობების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა თუ სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების მიუხედავად, სპეციალური ადაპტაციის ან დამატებითი დიზაინის საჭიროების გარეშე.
- **ურბანული ეკოსისტემური სერვისები** – ქალაქის ეკოსისტემების მიერ მიწოდებული სარგებელი (მაგ., ჰაერის გაწმენდა, ტემპერატურის რეგულაცია, რეკრეაცია).
- **ურბანული ზრდა –** მოსახლეობის, ეკონომიკური აქტივობისა და ნაშენი გარემოს გაფართოება ქალაქის ტერიტორიაზე.
- **ურბანული რეგენერაცია** — ქალაქის ან მისი კონკრეტული ტერიტორიის ფიზიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი განახლებისა და განვითარების ინტეგრირებული პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს დეგრადირებული, არასათანადოდ გამოყენებული ან ფუნქციურად მოძველებული ურბანული სივრცეების განახლებას, მათი სიცოცხლისუნარიანობის, კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის გაზრდას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.
- **ურბანული ცოცვა-გაფართოება -** ურბანული ცოცვა ეს არის ურბანული განვითარება ნაშენი ტერიტორიის გარეთ, უშენი ტერიტორიების ათვისებით. ხშირად ატარებს უკონტროლო, ქაოტურ ხასიათს.
- **ფუნქციური ზონირება** – მიწის გამოყენების რეგულირების ინსტრუმენტი, რომელიც ტერიტორიას ანაწილებს სხვადასხვა დანიშნულების ზონებად
- **წვიმის წყლის მართვის სისტემა –** ურბანულ ტერიტორიებზე ნალექის წყლის შეგროვების, შეწოვის, შეკავებისა და ბუნებრივი გზით გადანაწილების სისტემური მიდგომა

- **ADB -** Asian Development Bank
- **GOST -** Goal, Objectives, Strategies and Tactics
- **MCA** - Multi Criteria Analysis- მრავალფაქტორული ანალიზი
- **NEA**- National Environment Agency
- **PIP**- Priority Investment Plan
- **SEP**- Stakeholder Engagement Plan- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა; (ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, ასევე: დანართი 1: დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება (რუკირება) და ჩართულობა ხედვისა და სტრატეგიის შემუშავების ფაზისთვის)
- **SEA** - Strategic Environment Assessments
- **SUDA** - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო
- **TOR** - Terms of Reference
- **სგშ**- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება
- **ქ.**- ქალაქი
- **ახალციხე/ქ.ახალციხე** - ქალაქი ახალციხე
- **მუნიციპალიტეტი** - ახალციხის მუნიციპალიტეტი
- **რეგიონული** - იგულისხმება სამხარეო ან/და ისტორიული რეგიონი.

შესავალი და ზოგადი მიმოხილვა

პროექტის მიზანი

საქართველო, რომელიც აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს, ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა გარე მიგრაცია, არათანაბარი განვითარება და დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები.

ამის საპასუხოდ, აზიის განვითარების ბანკმა (ADB) „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა“ (LCIP) აამოქმედა. 2022 წელს, ახლად დაფუძნებულ სსიპ „სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს“ (SUDA) სხვა პროექტებთან ერთად დაევალა ქალაქ ახალციხისა და ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმების მომზადება.

ახალციხეს სტრატეგიული ადგილი უკავია საქართველოს სივრცით და რეგიონულ სისტემაში, როგორც სამხარეო ადმინისტრაციულ ცენტრს, ისტორიულ და კულტურულ ჰაბს და ტრანზიტზე ორიენტირებულ ქალაქს, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო სატრანსპორტო და ტურისტულ დერეფნებთან. ეს მრავალფუნქციური როლი ქმნის განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს - განსაკუთრებით ლოგისტიკის, ტურიზმისა და მომსახურებაზე ორიენტირებული ეკონომიკის მიმართულებით - თუმცა, ამავდროულად წარმოშობს მდგრადობასა და მმართველობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, რაც გავლენას ახდენს ქალაქის სივრცით სტრუქტურასა და ფუნქციურ ეფექტურობაზე.

პროექტის მიზანია მდგრადი ურბანული ზრდის მართვა, ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება კერძო სექტორის ჩართულობის, საზოგადოებაზე ორიენტირებული პრიორიტეტების, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მიზნობრივი ინვესტიციების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს ურბანული

ხედვის ანგარიშის მიზანი

მედეგობისა და სოციალური ინკლუზიურობის გაძლიერებას.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს II ფაზის - „ხედვის და სტრატეგიის“ საბოლოო დოკუმენტს.

ამ ფაზის ამოცანაა საერთო, თანმიმდევრული ხედვის ჩამოყალიბება და ფართო საზოგადოებრივი შეთანხმების შემუშავება, რომელიც ქალაქის განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

ამის საფუძველზე, ამ ფაზის მიზანია სტრატეგიული განვითარების სცენარების შემუშავება, რომლებიც შეისწავლიან ქალაქის შესაძლო სამომავლო ტრაექტორიებს და მხარს დაუჭერენ მისი გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის განსაზღვრას.

სცენარები ეფუძნება პროექტის I ფაზის განმავლობაში განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოსა და კვლევის შედეგებს. ისინი, ასევე, გაჯერებულია მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც შეგროვდა ადგილზე ვიზიტისა და 17-18 მარტს ახალციხეში ადგილობრივი (მუნიციპალური/ სამხარეო) ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული მონაწილეობითი სამუშაო შეხვედრის დროს, ისევე როგორც 2026 წლის 3 აპრილს მრავალ დაინტერესებულ მხარესთან გამართული ჰიბრიდული სამუშაო შეხვედრის -„ხედვა და სიცოცხლისუნარიანობა“, ფარგლებში.

წინამდებარე ანგარიში აერთიანებს ამ მონაცემებს და წარმოადგენს განვითარების სამ ალტერნატიულ სცენარს. თითოეული სცენარი განსაზღვრავს განვითარების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც თანხვედრაშია საერთო ხედვასთან. გარდა ამისა, თითოეული სცენარი ფასდება მისი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

ქალაქის ხედი რაბათის ციხიდან

ხედვის ანგარიშის სტრუქტურა

ქალაქ ახალციხის ხედვის ანგარიში სტრუქტურირებულია ისე, რომ მკითხველს თანმიმდევრულად გააცნოს პროექტის ზოგადი საფუძვლები და მიზანი, მიმოიხილოს განხორციელებული ანალიტიკური და მონაწილეობითი პროცესები და მიიყვანოს იგი ხედვამდე, განვითარების სცენარებსა და მათ შეფასებამდე.

თავი პირველი: შესავალი და ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროექტის ამოცანებს, განმარტავს ანგარიშის მიზანს და აღწერს ხედვის ანგარიშის მომზადების სტრუქტურასა და პროცესს. მასში, ასევე, მოცემულია ქ.ახალციხის რეგიონული (სამხარეო) კონტექსტის მიმოხილვა, სადაც ქალაქის როლი და საჭიროებები ადმინისტრაციული საზღვრების მიღმაა განხილული.

თავი მეორე: აქტივობებისა და შედეგების აღრიცხვა ასახავს პროექტის ფარგლებში გადადგმულ ძირითად ნაბიჯებს, განსაკუთრებული აქცენტით მიმდინარე ფაზაში განხორციელებულ საკვანძო აქტივობებზე. ეს თავი აღწერს მე-2 ფაზის განმავლობაში გამართულ ვიზიტებსა და სამუშაო შეხვედრებს, იმ ძირითად მიგნებებთან ერთად, რომლებმაც განსაზღვრა ანგარიშის შემდგომი სტრატეგიული მიმართულებები.

თავი მესამე: ხედვა და სტრატეგია განსაზღვრავს ქ.ახალციხის ხედვას და მას გარდაქმნის სტრატეგიების ერთობლიობად, რაც მიმართულია მომავალი სივრცითი, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი განვითარების წარმართვაზე. ეს ხდება პროექტის პირველ ფაზაში ჩამოყალიბებული GOST-ის მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით. ეს თავი წარმოადგენს კონცეპტუალურ კავშირს ანალიზსა და განვითარების სცენარებს შორის.

თავი მეოთხე: სტრატეგიული სცენარები განიხილავს ქ.ახალციხის სამომავლო განვითარების ალტერნატიულ გზებს. ზოგადი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომის განმარტების შემდეგ, თავში წარმოდგენილია სამი სცენარი - პრაგმატული, ადაპტირებადი და ტრანსფორმაციული - რომელთაგან თითოეული ასახავს ამბიციის, ინტერვენციისა და ცვლილების განსხვავებულ ხარისხს.

თავი სრულდება მრავალკრიტერიუმიან ანალიზზე დაფუძნებული სიცოცხლისუნარიანობის შეფასებით, რომელიც ადარებს სცენარებს და ავლენს ყველაზე მაღალქულიან სტრატეგიას თითოეული სცენარის ფარგლებში.

თავი მეხუთე: რისკები, რეკომენდაციები და შემდგომი ნაბიჯები მიმოიხილავს პროექტის ძირითად საკითხებსა და რისკებს, აყალიბებს მთავარ რეკომენდაციებს და განსაზღვრავს იმ ქმედებებსა და შემდგომ ნაბიჯებს, რომლებიც საჭიროა ხედვის ფაზიდან პროექტის მომდევნო ეტაპზე, კერძოდ, კონცეფციის შემუშავებაზე, გადასასვლელად.

ანგარიშს თან ერთვის **დანართები**, მათ შორის „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა“, რომელიც აღწერს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისა და ჩართულობის მიდგომას „პრობლემების ხის“ მეთოდოლოგიის გამოყენებით; ასევე, მოცემულია ხედვის ფაზაში განხორციელებული აქტივობების შეჯამება.

მთლიანობაში, ანგარიში იმგვარადაა შედგენილი, რომ წარმოადგენდეს ლოგიკურ გადასვლას კონტექსტიდან და მტკიცებულებებიდან ხედვასა და სტრატეგიაზე, რაც ქმნის თანმიმდევრულ ჩარჩოს ახალციხის გენერალური გეგმის განხორციელებისთვის.



გენერალური გეგმა 1974

ხედვის ანგარიშის მომზადების პროცესი

ახალციხის ხედვის ანგარიშის მომზადების პროცესი პროექტის ოფიციალურ დაწყებამდე, ჯერ კიდევ საკონკურსო ფაზაში დაიწყო, როდესაც კონსულტანტმა, ტექნიკური და ფინანსური წინადადების ფარგლებში, წარადგინა ახალციხის ხედვის პირველადი სამუშაო ვერსია როგორც რეგიონულ, ისე საქალაქო დონეზე.

საწყისი და კვლევის მიმოხილვის ფაზაში გამოიკვეთა ახალი მიგნებები კვლევითი ანგარიშების განხილვის, დამატებითი მონაცემების შეგროვების, დაინტერესებულ მხარეებთან პირველადი შეხვედრებისა და ადგილზე განხორციელებული პირველი ვიზიტის შედეგად. კონსულტანტის დარგობრივი ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევის მიმოხილვის ანგარიში დაეხმარა სხვადასხვა კლასტერში ძირითადი მიგნებებისა და საკითხების იდენტიფიცირებას, რამაც ანალიტიკური საფუძველი შექმნა შემდგომი ხედვის ჩამოყალიბების პროცესისთვის.

მე-2 ფაზის- ხედვის ფაზის- დასაწყისში, დაკვნები კიდევ უფრო დაკონკრეტდა და, ზოგიერთ შემთხვევაში, განმტკიცდა ადგილზე მეორე ვიზიტისა და ადგილობრივი მონაწილეობითი სამუშაო შეხვედრის მეშვეობით. ამ სრულდღიანმა სამუშაო შეხვედრამ (რომელიც უფრო დეტალურად აღწერილია “აქტივობებისა და შედეგების აღრიცხვის” თავში და „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის“ დანართში) შესაძლებლობა მოგვცა, უშუალოდ ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან მიგვეღო ინფორმაცია ქალაქის ძლიერი მხარეებისა და მთავარი გამოწვევების შესახებ. ეს დადებითი და უარყოფითი მხარეები გაანალიზდა და აისახა რუკებზე, რამაც შექმნა ღირებული ადგილობრივი ცოდნა ხედვისა და სცენარების შემუშავების პროცესისთვის.

მთელი პროცესის განმავლობაში შეგროვებული ინფორმაცია - დაწყებული პირველადი წინადადებით, კვლევის მიმოხილვითა და მონაცემთა შეგროვებით, დამთავრებული ადგილზე ვიზიტებითა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებით - სტრუქტურირებულია GOST-ის მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით, რომელიც პროექტის პირველ ფაზაში განისაზღვრა. კონსულტანტის თემატური ექსპერტების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე, ჩამოყალიბდა „მიზანი“, როგორც ახალციხის სტრატეგიული ხედვა. შემდგომში ეს გარდაიქმნა „ამოცანების“ ერთობლიობად, რომელთაგან თითოეული დაკავშირებულია ანალიტიკური და მონაწილეობითი პროცესის შედეგად გამოკვეთილ საკვანძო თემებსა და საკითხებთან.

ქალაქის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირების შემდეგ, შემდეგი ნაბიჯი იყო იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლებოდა მათი მიღწევა. სწორედ ამან შექმნა საფუძველი სტრატეგიული სცენარების შემუშავებისთვის. შერჩეული მეთოდოლოგიის გამოყენებით, კონსულტანტმა შეიმუშავა სამი ალტერნატიული სცენარი, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს განსხვავებულ გზას ახალციხესთან დაკავშირებით დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. ეს სცენარები ასახავს ამბიციის, ინტერვენციის, ინვესტიციებისა და განხორციელებადობის სხვადასხვა დონეს.

ამ სამი სცენარის ფორმულირებამ, რომლებიც დეტალურად არის წარმოდგენილი “სტრატეგიული სცენარების” თავში, განსაზღვრა ქალაქის სამომავლო განვითარების სამი შესაძლო სტრატეგიული მიმართულება.

თითოეული სცენარი აღწერილია სხვადასხვა თემატური კლასტერისა და შესაბამისი ქვე-თემების მიხედვით, რაც სტრატეგიული არჩევანის სტრუქტურირებული შედარების საშუალებას იძლევა. ამან, ასევე, საფუძველი ჩაუყარა შემდგომ მრავალკრიტერიუმიან ანალიზს (აღწერილია “სიცოცხლისუნარიანობის შეფასების” თავში), რომლის მეშვეობითაც მოხდა სცენარების შედარებითი შეფასება.



პროცესის დიაგრამა

რეგიონული (სამხარეო) კონტექსტი

ქალაქი ახალციხე სამცხე-ჯავახეთის - საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ისტორიულად მნიშვნელოვანი მხარის, ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრია. ქვეყნისა და რეგიონის ფართო სივრცით-ტერიტორიულ სტრუქტურაში, ქალაქის მნიშვნელობა სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობითა და მისი მრავალფუნქციური როლით განისაზღვრება. ახალციხე მდებარეობს საქართველოს სამხრეთ ღერძზე ორი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის (ს-8 და ს-11) გადაკვეთაზე. ეს მდებარეობა ქალაქის, როგორც მრავალფუნქციური რეგიონული ცენტრისა და სადისტრიბუციო ჰაბის როლს აძლიერებს, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ-კულტურულ, სატრანსპორტო, ეკონომიკურ, ლოგისტიკურ, სავაჭრო, ტურისტულ და ადმინისტრაციულ სერვისებს სამხრეთ საქართველოში. ამასთან, ჩართულობა ევროპასა და აზიას შორის გამავალ სატრანზიტო დერეფნებში, მის, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის სასაზღვრო ქალაქის, მნიშვნელობას ამყარებს.

რეგიონულ ეკონომიკურ საქმიანობაში, განსაკუთრებით მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროებში, ახალციხე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიმდებარე დასახლებებისთვის, მათ შორის ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებისთვის. ვაჭრობის, განათლებისა და დასაქმების მიმართულებით არსებული ძლიერი კავშირები ხაზს უსვამს ქალაქის, როგორც რეგიონული აგლომერაციის ცენტრის ფუნქციას. მიმდებარე სოფლების აგრარული პოტენციალი აგრო წარმოებისა და სტრუქტურირებული აგროლოგისტიკური სისტემების პოტენციალს ქმნის, მათ შორის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის განვითარებისთვის, რაც ქალაქის ლოგისტიკურ პოტენციალთან მჭიდროდა არის დაკავშირებული.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მისაწვდომობის- როგორც საავტომობილო, ისე სარკინიგზო-ქსელების გაუმჯობესების კონტექსტში, ტურიზმი ახალციხის რეგიონული პოზიციონირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ქალაქთან ახლოს მდებარეობს ისეთი მნიშვნელოვანი ტურისტულ ადგილები, როგორიცაა აბასთუმანი, გოდერძი-ბეშუმი, ბორჯომი-ბაკურიანი, მაღალმთიანი აჭარა, დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები. ამასთან, ქალაქისა და რეგიონის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ისტორიული დასახლებები და რელიგიური ძეგლები, როგორიცაა რაბათის ციხე, ვარძია, ხერთვისი, ოლოდა, ზარზმა, ასევე ისტორიული ტაო-კლარჯეთი და ჯავახეთი ტურიზმის განვითარების მყარ საფუძველს ქმნის. მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები განსაკუთრებით აჭარის მიმართულებით (ხულოს გავლით) და იმერეთის მიმართულებით (საირმის გავლით) საგზაო კავშირების გაუმჯობესება, ასევე, საქართველოს სამომავლო მერიდიანული ღერძის განვითარებაში ინტეგრაცია მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტულ ნაკადებს და გააძლიერებს ახალციხის სატრანზიტო და ტურისტული დანიშნულების ჰაბის როლს.

ჩვენი ხედვით, ახალციხე მრავალფუნქციურ რეგიონულ ცენტრად ყალიბდება, რომელიც აერთიანებს ლოგისტიკას, ვაჭრობას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმსა და სერვისებს. სტრატეგიული მიწის გამოყენების დაგეგმვით, კოორდინირებული სატრანსპორტო სისტემებისა და დაბალანსებული ურბანული განვითარების გზით, ახალციხე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი კვანძად პოზიციონირდება, სადაც გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო, წახალისებულია ეკონომიკური ზრდა და შენარჩუნებულია უნიკალური ისტორიულ-კულტურული იდენტობა.



ახალციხის რეგიონული (სამხარეო) კონტექსტი

აქტივობებისა და შედეგების ალრიცხვა

მონაცემების შეგროვება & დანაკლისების ანალიზი

კონსულტანტმა შეაგროვა და განიხილა საკვლევ არეალში არსებული და პროექტის ფარგლებთან დაკავშირებული განვითარების სტრატეგიები, გეგმები, პოლიტიკის დოკუმენტები, დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები, აგრეთვე, ყველა სხვა რელევანტური ინფორმაცია, ანგარიში, მონაცემი, დოკუმენტი და გრაფიკული მასალა (რუკები).

მონაცემთა შეგროვების მიდგომა ეფუძნება დამკვეთის მიერ შემოთავაზებულ მეთოდს:

•მონაცემთა შეგროვების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით, შეიქმნა საერთო საქაღალდე, რომელზეც წვდომა აქვს დამკვეთს.

•ამ საქაღალდეში შეიქმნა Excel-ის სააღრიცხვო ფაილი, სადაც ფიქსირდება ყველა მოთხოვნილი მონაცემის თარიღი, გამგზავნი და მიმღები.

•მოთხოვნების საპასუხოდ მიღებული ყველა დოკუმენტი სისტემატურად ინახება იმავე საქაღალდეში.

პასუხების მისაღებად საჭირო დროის გათვალისწინებით, მონაცემთა შეგროვება გაგრძელდება მესამე ფაზის დასრულებამდე. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ფაზის განმავლობაში მაქსიმალური ძალისხმევა იქნა მიმართული საჭირო მონაცემების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე მისაღებად, ტექნიკური დავალება (TOR) ითვალისწინებს მონაცემთა შეგროვების გაგრძელების შესაძლებლობას მესამე ფაზის ბოლომდე. გარდა ამისა, მონაცემები შეგროვდება დაინტერესებულ მხარეებთან, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით, რათა მომზადდეს პირველადი მონაცემები და წინადადებები პრიორიტეტული საინვესტიციო პროგრამის (PIP) ფაზისთვის.

პირველი ფაზის განმავლობაში, როგორც ეს ასახულია „საწყისი და კვლევის მიმოხილვის ანგარიშში“, გამოვლინდა რამდენიმე კვლევითი ხარვეზი და შემოთავაზებულ იქნა მათი აღმოფხვრის მეთოდოლოგია. ამ ხარვეზების აღმოფხვრის პროცესი მიმდინარეობს და გაგრძელდება მესამე ფაზის დასრულებამდე.

ჰიდროლოგიასთან, კლიმატსა და გეოლოგიასთან დაკავშირებული ძირითადი საინფორმაციო ხარვეზების აღმოფხვრა ამჟამად სამი დამატებითი ექსპერტის ჩართულობით ხორციელდება. ამ სპეციალისტებთან სახელშეკრულებო პირობების შეთანხმება დასასრულს უახლოვდება. დანიშვნისთანავე ისინი შეუდგებიან მუშაობას და მოგვაწვდიან კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც ხელს შეუწყობს კონცეპტუალური ალტერნატივების დამუშავებას, ასევე გენერალური გეგმისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) მომზადებას, რომელიც მესამე ფაზაში უნდა განხორციელდეს.

კონსულტაციები ასევე გაიმართა გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან (NEA), რომლის წარმომადგენლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა, გააზიარონ ახალციხის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ხარისხობრივი კვლევების მასალა, მათ შორის, ინფორმაცია ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ხმაურით დაბინძურების თაობაზე.

გარდა ამისა, ადგილზე ვიზიტისა და დაინტერესებულ მხარეთა სამუშაო შეხვედრების შემდეგ, კონსულტანტმა მიიღო დამატებითი პრაქტიკული ცოდნა უშუალოდ ადგილიდან. ამ განახლებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარვეზების ანალიზის ცხრილი გადაიხედება და დაზუსტდება, რათა მასში აისახოს მიღწეული პროგრესი და გამოიკვეთოს ნებისმიერი დარჩენილი თუ ახლად გამოვლენილი ხარვეზი.

აქტივობა	**პერიოდი**	**შედეგები**
მონაცემების შეგროვება	ფაზა 1-3	როგორც აღწერილია ქვემოთ მოცემულ ქვე-თავებში
კვლევის ხარვეზების შევსება	ფაზა 1-3	როგორც აღწერილია ქვემოთ მოცემულ ქვე-თავებში
ხედვის საველე ვიზიტი	17 მარტი	როგორც აღწერილია ქვემოთ მოცემულ ქვე-თავებში
ხედვის სამუშაო შეხვედრა	18 მარტი	როგორც აღწერილია ქვემოთ მოცემულ ქვე-თავებში
ჰიბრიდული სამუშაო შეხვედრა	3 აპრილი	როგორც აღწერილია ქვემოთ მოცემულ ქვე-თავებში

ადგილზე ვიზიტი

მიმდინარე ფაზის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო დაგეგმილი ვიზიტი ადგილზე, რომელიც ჩატარდა ხედვის შესახებ მონაწილეობით სამუშაო შეხვედრასთან ერთად. პირველ ფაზაში განხორციელებულ წინასწარ ვიზიტსა და მიგნებებზე დაყრდნობით, ეს მეორე ვიზიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან მასში ჩართული იყო შიდა ექსპერტების - როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, უფრო ფართო ჯგუფი.

საწყისი ფაზის მიგნებებსა და კვლევის მიმოხილვაზე დაყრდნობით, მეორე ვიზიტი თავისი მიდგომით უფრო ფოკუსირებული და მიზანმიმართული იყო. მან ასევე შექმნა ღირებული შესაძლებლობები ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებს შორის აზრების პირდაპირი გაცვლისთვის, რამაც ხელი შეუწყო სიღრმისეულ დისკუსიებს კონკრეტულ თემატურ სფეროებზე.

ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მომენტი იყო მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსთან გამართული სამუშაო შეხვედრა, რომელიც ავტოსადგურზე შედგა. ამ ადგილზე გამართულმა დისკუსიამ პრაქტიკული ინფორმაცია მოგვცა ახალციხეში ახალი ავტობუსების მომსახურების დანერგვის პროცესზე, მათ შორის არსებულ გამოწვევებზე, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის უკუკავშირსა და მზარდ მოთხოვნებზე.

რაბათის ციხესიმაგრის მონახულება

შეხვედრა ავტობუსების ოპერირების ხელმძღვანელთან



ბაზრის მონახულება

კვლევის მონაცემების მიმოხილვა

პროექტის წინა ეტაპი მოიცავდა საწყის ფაზასა და კვლევის მიმოხილვას. ამ საფეხურზე კონსულტანტმა შეისწავლა სხვა კონსულტანტის მიერ ქალაქ ახალციხის შესახებ მომზადებული კვლევის ანგარიში, რის საფუძველზეც ძირითადი ყურადღება მონაცემებში არსებულ შესაძლო დანაკლისების იდენტიფიცირებაზე გამახვილდა.

კკვლევის მიმოხილვის ანგარიში მიზნად ისახავდა ქალაქის არსებული სივრცითი, სოციალურ-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, კულტურული და ინფრასტრუქტურული მდგომარეობის სისტემურ ანალიზსა და შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, მის განახლებასა და შევსებას. ანგარიში აგებული იყო თემატური კლასტერების მიხედვით, და მოიცავდა სივრცით სტრუქტურასა და მმართველობას, მწვანე-ლურჯ და რეკრეაციულ სისტემებს, განაშენიანებულ გარემოსა და სოციალურ ინფრასტრუქტურას, ეკონომიკას, კულტურასა და იდენტობას, ასევე მობილობასა და ტექნიკურ ინფრასტრუქტურას.

ანალიზი ეფუძნება როგორც რაოდენობრივ მონაცემებს, ისე სივრცით დაკვირვებებს, გრაფიკულ-ვიზუალურ ანალიზს, ექსპერტულ შეფასებასა და სამართლებრივი ასპექტების ინტეგრირებას, რაც განვითარების ტენდენციების, სივრცითი შეზღუდვებისა და სამომავლო პოტენციალის აღქმის შესაძლებლობას იძლევა. მთლიანობაში, კვლევის მიმოხილვის ანგარიში ქმნის მნიშვნელოვან ანალიტიკურ საფუძველს გენერალური გეგმის მომზადებისთვის და ამავდროულად, ავლენს ინფორმაციულ ხარვეზებს, რომლებიც დამატებით დაზუსტებას საჭიროებს პროექტის მომდევნო ეტაპებზე.

წინასწარ კვლევის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალციხის რეგიონულ და მუნიციპალურ როლს. ქალაქი წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც სამხარეო ადმინისტრაციული ცენტრი, არამედ როგორც მრავალფუნქციური სასაზღვრო ქალაქი, რომელსაც ფართო რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია. ქალაქის განვითარების პოტენციალი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს განსახლების სისტემის სამხრეთ ღერძზე მის სტრატეგიულ მდებარეობასთან, განსაკუთრებით თბილისი–ახალციხე–ბათუმის მიმართულებით. ასევე, მის როლთან ტრანსპორტის, ლოგისტიკის, ტურიზმისა და მგზავრთა განაწილების სფეროებში. ყარსი–ახალქალაქი–თბილისი–ბაქოს სარკინიგზო დერეფანი დამატებით აძლიერებს ახალციხის ტრანსნაციონალურ მნიშვნელობას და მის კავშირს თურქეთთან.

ანგარიში ნათლად არის წარმოჩენილი და გააზრებული ქალაქის ურბანული სტრუქტურა და მორფოლოგია. ქალაქში დომინირებს საცხოვრებელი ფუნქცია, მკაფიო განსხვავებებით ისტორიულ ბირთვს, საბჭოთა პერიოდის მრავალბინიან საცხოვრებელ უბნებს, დაბალი სიმჭიდროვის ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს, ინდუსტრიულ და ბრაუნფილდის ზონებსა, და ასევე, შერეული ფუნქციის უბნებს შორის. თუმცა, მოქმედი ზონირების გეგმის არარსებობა მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს. ამ კონტექსტში, მიწათსარგებლობის ანალიზი ხდება აუცილებელი ალტერნატიული ინსტრუმენტი არსებული ურბანული პროცესების გასააზრებლად და სამომავლო ზონირების ჩარჩოს მოსამზადებლად.

ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს თვალსაზრისით, კვლევა მიმოიხილავს გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ, კლიმატურ, ჰიდროლოგიურ, ნიადაგის, მცენარეულ, ლანდშაფტურ და საფრთხეებთან დაკავშირებულ პირობებს. ახალციხის ბუნებრივი კონტექსტი ჩამოყალიბებულია მისი მთიან-სტეპური კლიმატით, ფოცხოვისწყლის მდინარით, ახალციხის არტეზიული აუზით, მინერალური და თერმული წყლებით, ხელოვნური ფიჭვნარის მასივებით, ნახევრადუდაბნოს მცენარეულობითა და მრავალფეროვანი ლანდშაფტური ტიპებით. თუმცა, გარემოსდაცვითი კომპონენტების ზოგიერთი ნაწილი დამატებით შესწავლას საჭიროებს, მათ შორის განახლებული კლიმატის ცვლილების სცენარების, ბიომრავალფეროვნების, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების, ფონური ხმაურის, სანიტარიული დაცვის ზონებისა, ასევე მინერალური რესურსების მდგომარეობისა და გამოყენების ნაწილში.

მნიშვნელოვანი მონაცემთა ხარვეზი დაკავშირებულია ჰიდროლოგიასა და ბუნებრივ საფრთხეებთან. მდინარე ფოცხოვისწყალი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრუქტურულ და გარემოსდაცვით ელემენტად, თუმცა არსებული კვლევა არ მოიცავს სრულყოფილ ჰიდროლოგიურ შეფასებას. რისკებზე დაფუძნებული დაგეგმარების, ლურჯი დერეფნებისა და ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (Nature-Based Solutions) მხარდასაჭერად, საჭიროა წყალდიდობის მოდელირება, მაქსიმალური ხარჯების სცენარების განსაზღვრა და დატბორვის ზონების ტერიტორიული ასახვა. ანალოგიურად, გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, ამ ეტაპზე, მხოლოდ ზოგად საფრთხის ზონებს მოიცავს და საჭიროებს უფრო დეტალურ კვლევას.

ქალაქ ახალციხის მწვანე და რეკრეაციული სივრცეების განაწილება არათანაბარია, ფრაგმენტირებული და სუსტად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მდინარე ფოცხოვისწყალი, მიუხედავად მისი სტრუქტურული მნიშვნელობისა, დიდწილად მოწყვეტილია ქალაქის საზოგადოებრივ და რეკრეაციულ ცხოვრებას. პერიფერიულ და ისტორიულ უბნებში შეინიშნება ხარისხიანი საჯარო სივრცეების ნაკლებობა. შესაბამისად, კვლევა ხაზს უსვამს მწვანე და რეკრეაციული სივრცეების გაფართოების, მათი ურთიერთდაკავშირების, მისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ინტეგრირებული მწვანე-ლურჯი დერეფნების განვითარების აუცილებლობას.

ნაშენი გარემოსა და სოციალური ინფრასტრუქტურის ანალიზი ადასტურებს, რომ საცხოვრებელი ზონები ახალციხის ურბანული ქსოვილის უდიდეს ნაწილს იკავებს. დამატებითი კვლევებია საჭირო საცხოვრებელი პირობების ხარისხის, ხელმისაწვდომობის, რეაბილიტაციის საჭიროებების, დამატებითი საცხოვრებელი ფონდის, ასევე საცხოვრებლის, სატრანსპორტო მისაწვდომობის, სოციალური ინფრასტრუქტურისა და გარემოს ხარისხს შორის ურთიერთკავშირის შესაფასებლად.

დოკუმენტი კულტურულ მემკვიდრეობასა და ტურიზმს განიხილავს როგორც ახალციხის იდენტობის, ეკონომიკისა და სივრცითი სტრუქტურის კრიტიკულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ განზომილებებს. რაბათის ციხე, ისტორიული ურბანული ქსოვილი, რელიგიური ნაგებობები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ქმნის ძლიერ საფუძველს კულტურული და გამოცდილებაზე დაფუძნებული ტურიზმისთვის. თუმცა, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემები ფრაგმენტულია და არასაკმარისად სისტემატიზებული. ყოვლისმომცველი კულტურული მემკვიდრეობის კვლევის, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის, დამცავი ზონებისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ სრულყოფილი დოკუმენტაციის არარსებობა მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

ახალციხის პოტენციური ზრდის ერთ-ერთ ძირითად სექტორად იდენტიფიცირებულია ტურიზმი. ქალაქი სარგებლობს თავისი სტრატეგიული მდებარეობით თურქეთისა და სომხეთის საზღვრებთან და მდიდარი კულტურული

მემკვიდრეობის რესურსებით. რაბათის ციხეს 2025 წელს 134,000-ზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა, რაც ტურიზმის მზარდ ტენდენციაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ახალციხე ჯერ კიდევ ძირითადად სატრანზიტო ფუნქციას ასრულებს და არა სრულფასოვნად განვითარებული ტურისტული დანიშნულების ადგილისას. შესაბამისად, აუცილებელია ქალაქის დანიშნულების პროფილის განსაზღვრა, კონკურენტული ტურისტული პროდუქტების განვითარება, კულტურული და კულინარიული ნარატივების გაძლიერება და ბრენდინგისა და მარკეტინგის გაუმჯობესება.

ანგარიშში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი საბაზისო მონაცემები ეკონომიკური ანალიზისთვის, თუმცა, ამავდროულად, ავლენს მნიშვნელოვან ხარვეზებს მომავალზე ორიენტირებული დაგეგმარებისთვის. არსებული მონაცემები მხოლოდ შეზღუდულ წარმოდგენას იძლევა ეკონომიკური სექტორების სამომავლო განვითარების პოტენციალზე. რიგი მონაცემები, მათ შორის მოსახლეობის დინამიკა, დასაქმება, ხელფასები, ბიზნეს ინდიკატორები, მიწის ღირებულებები, უძრავი ქონების ფასები და საინვესტიციო ხარჯები, ან მოძველებულია, ან არასრული. შესაბამისად, PIP დაეფუძნება სწრაფი სკანირებით მიღებულ ხელმისაწვდომ, მეორეულ და საორიენტაციო მონაცემებებს, რომელსაც დაემატება ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ხარისხობრივი ინფორმაციაც.

მობილობის ნაწილში, ანგარიშში უზრუნველყოფილია საწყისი სივრცითი საფუძვლები, თუმცა მონაცემების მხრივ სუსტია. ახალციხის მობილობის სისტემა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისი დერეფნული ფუნქციითა და რეგიონული კავშირებით. მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეფექტიანობის, საგზაო უსაფრთხოების, ქვეითთა მისაწვდომობის, ტროტუარების უწყვეტობის, პარკირების მართვისა და სამომავლო მობილობის სცენარების მიმართულებით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაფარვა შეზღუდულია, სარკინიგზო ინფრასტრუქტურა აღარ ფუნქციონირებს, ხოლო უკანონო პარკირება ხელს უწყობს საცობებს და საფრთხის შემქმნელია ქვეითად გადაადგილებისათვის.

საბოლოოდ, დოკუმენტი ქმნის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ ჩარჩოს სტრატეგიული დაგეგმარებისთვის. იგი წარმოადგენს საბაზისო საფუძველს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა, ჩარევების დაგეგმვა, გრძელვადიანი ხედვის ფორმულირება და ახალციხის გენერალური გეგმისა და PIP-ის თანმიმდევრული მომზადება.

მონაწილეობითი ადგილობრივი სამუშაო შეხვედრა ხედვის შესახებ

2026 წლის 18 მარტს ახალციხეში გაიმართა მონაწილეობითი სამუშაო შეხვედრა ხედვის შესახებ, რომელმაც თავი მოუყარა დაინტერესებულ მხარეთა მრავალფეროვან ჯგუფს. მათ შორის იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურის სფეროს წარმომადგენლები, კერძო და ტურისტული სექტორების, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მიმწოდებლების, ასევე განათლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები და აქტიური ადგილობრივი მოქალაქეები. მონაწილეები საგულდაგულოდ შეირჩნენ, რათა დაცული ყოფილიყო ბალანსი გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის.

სამუშაო შეხვედრა მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ეფუძნებოდა ინტერაქტიულ პროცესს „ვორლდ კაფეს“ (World Café) ფასილიტაციის მეთოდის გამოყენებით. შეხვედრა ორ ძირითად ბლოკად იყო დაყოფილი.

პირველი ბლოკი ჩატარდა „საწყის მაგიდებთან“ (home tables), სადაც მონაწილეები თავდაპირველად გადანაწილდნენ ექსპერტიზის დაბალანსებული ნაზავის უზრუნველსაყოფად. მონაწილეებს სთხოვეს, გამოეთქვათ ქალაქის შესახებ საკუთარი აღქმები: დადებითი ასპექტები აღენიშნათ მწვანე ფერით, ხოლო გამოწვევები - წითლით:

ეს მონაცემები შემდგომში დაჯგუფდა ხუთ წინასწარ განსაზღვრულ თემატურ სფეროდ:

ა. სივრცითი სტრუქტურა და მმართველობა;

ბ. მწვანე, ლურჯი და რეკრეაციული სისტემები;

გ. განაშენიანებული გარემო და სოციალური ინფრასტრუქტურა;

დ. ეკონომიკა, კულტურა და იდენტობა;

ე. მობილობა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა

შესვენების შემდეგ, მეორე ბლოკი თემატური დარუკებით დაიწყო. მონაწილეები ხელახლა გადანაწილდნენ თემატურ მაგიდებთან, რომლებსაც შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები უძღვებოდნენ. ამ ჯგუფებმა დისკუსიების საფუძველზე თემატური რუკები შეიმუშავეს.

დასკვნით სესიაზე მონაწილეები დაუბრუნდნენ თავიანთ საწყის მაგიდებს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეავსეს GOST-ის ჩარჩო დოკუმენტი (მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები, ტაქტიკა). ამის შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა მოკლედ წარადგინა საკუთარი მუშაობის შედეგები.

სამუშაო შეხვედრა დასრულდა კონსულტანტის დასკვნითი სიტყვით, რომელმაც მადლობა გადაუხადა მონაწილეებს და მიმოიხილა პროექტის შემდგომი ნაბიჯები.

დისკუსია მობილობასა და ლოგისტიკის შესახებ

ადგილობრივი აღქმების იდენტიფიცირება და დაჯგუფება

ძირითადი ძლიერი მხარეები:

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ახალციხის, როგორც რეგიონული ცენტრის, დიდ პოტენციალს, რასაც ხელს უწყობს მისი სტრატეგიული მდებარეობა ეროვნული და საერთაშორისო მარშრუტების გადაკვეთაზე, მათ შორის თურქეთთან და სომხეთთან კავშირი. ქალაქი ფლობს მნიშვნელოვან ტურისტულ აქტივებს, განსაკუთრებით რაბათის ციხისა და კულტურული მემკვიდრეობის სახით, ასევე, გამოირჩევა ბუნებრივ ლანდშაფტებთან სიახლოვით. არსებული ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოებრივი ობიექტები მყარ საფუძველს ქმნის შემდგომი განვითარებისთვის.

ძირითადი გამოწვევები:

მიუხედავად ამ რესურსებისა, ქალაქი მნიშვნელოვანი სტრუქტურული გამოწვევების წინაშე დგას. მათ შორისაა სუსტი მმართველობა და დაგეგმარების კონტროლი, რაც განაპირობებს ფრაგმენტულ განვითარებასა და რეგულაციების არასათანადო აღსრულებას. არაერთხელ იქნა აღნიშნული გარემოსდაცვითი პრობლემები, როგორიცაა მდინარის დაბინძურება, დატბორვის რისკები და გაუმართავი სანიაღვრე სისტემები. განაშენიანებული გარემო დაღმასვლის ნიშნებს ავლენს, რაც გამოიხატება აუთვისებელი სივრცეებითა და არასაკმარისი სოციალური ინფრასტრუქტურით.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალციხე ხასიათდება არასაკმარისი დივერსიფიკაციითა და სუსტად განვითარებული ღირებულებათა ჯაჭვით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში. მნიშვნელოვანი პრობლემებია მობილობის მიმართულებითაც, მათ შორისაა ერთიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის არარსებობა, პარკირების დეფიციტით გამოწვეული წნეხი და ინტერესთა კონფლიქტი სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვასა და ადგილობრივ მოძრაობას შორის. ტექნიკური საინჟინრო ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით კი საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლების სისტემები, მოძველებულია.

სამუშაო შეხვედრამ დაადასტურა, რომ ახალციხის მომავალი დამოკიდებულია მის უნარზე, ფრაგმენტული სისტემიდან გადაიქცეს ერთიან, კარგად სტრუქტურირებულ რეგიონულ ცენტრად (ჰაბად). ეს მოითხოვს ინტეგრირებულ სტრატეგიებს, რომლებიც ერთმანეთთან შეათავსებს ინფრასტრუქტურას, ეკონომიკასა და სივრცით დაგეგმარებას, ამავდროულად კი აღმოფხვრის მმართველობით ხარვეზებს. ეს დასკვნები საფუძვლად უდევს მიზნის, ამოცანებისა და სამი სტრატეგიული სცენარის ფორმულირებას.

თემატური რუკების შედგენა

სამუშაო შეხვედრის შედეგები



ცენტრალური საავადმყოფო
კომერციული
ლაშქრობა
რეგიონული ქსელი
მწვანე & ლურჯი
ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიები
ბაზარი
კავშირი რეგიონულ ტურიზმთან
მობილობის ჰაბი
აღდგენა
ტურიზმი
მდინარის კავშირები
ებრაული უბანი
სოფლის მეურნეობა
სატვირთო ინფრასტრუქტურა
აგროტურიზმი
ლურჯი კორიდორი
ავტობუსების ქსელი
სატრანსპორტო სისტემები
ურბანული ტყე
საჯარო სივრცის ხარისხი
ურბანული განახლება
ბაზარი
ამირანის გორა
ტურიზმის მრავალფეროვნება
ქუჩის პროფილი
კანალიზაცია და დრენაჟი
რეგიონული ცენტრი
განახლებადი ენერგია
მწვანე და საჯარო სივრცეები
სპორტი და აქტივობები
რეგიონული ჰაბი
სერვისები
ზონირების რეგულაციები
ეკონომიკა
არქიტექტურის ხარისხი
პანორამული ხედვის წერტილები
აგროტურიზმი
ადმინისტრაციული ცენტრი
სერვისები
აქტიური ტურიზმი
რეკრეაცია
ფეხით გადაადგილებისთვის მოსახერხებელი
რკინიგზა
სერვისები (უნივერსიტეტი, საავადმყოფო)
მობილობა
წყალდიდობისგან დამცავი ჯებირები
ტბის პირი
მემკვიდრეობა
ლოჯისტიკა
გარემო

დაინტერესებული მხარეების ჰიბრიდული სამუშაო შეხვედრა

ხედვის მეორე სამუშაო შეხვედრა, რომელიც 3 აპრილს გაიმართა, მიზნად ისახავდა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების სამუშაო შეხვედრების შედეგების წარდგენას და ახალციხის განვითარების შემოთავაზებული სცენარების რეალისტურობისა და განხორციელებადობის შესახებ დისკუსიის წამოწყებას. ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ხედვის ფორმულირებასა და განვითარების სამომავლო გზების სტრატეგიულ შეფასებას შორის; მან უზრუნველყო, რომ შემოთავაზებული სცენარები დაფუძნებულიყო როგორც ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ ინფორმაციაზე, ისე ეროვნული დონის პრიორიტეტებზე.

სამუშაო შეხვედრა აერთიანებდა ხედვისა და სცენარების ჩარჩო დოკუმენტის პრეზენტაციას, ღია დისკუსიასა და დარგობრივი უწყებების თემატურ წვლილს. აღნიშნულმა ფორმატმა შესაძლებელი გახადა მონაწილეობითი სამუშაო შეხვედრების მეშვეობით შეგროვებული „ქვევიდან ზევით“ (bottom-up) ინიციატივების ინტეგრირება ინსტიტუციურ „ზევიდან ქვევით“ (top-down) პერსპექტივებთან, რამაც გააძლიერა შემოთავაზებული განვითარების მიმართულებების სტრატეგიული რელევანტურობა და განხორციელებადობა.

დისკუსია დაიწყო უფრო ფართო ინსტიტუციური კითხვით, რომელიც ეხებოდა კავშირს მიმდინარე დაგეგმარების პროცესსა და ეროვნულ დონეზე მომზადებულ “მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარების დოკუმენტს” შორის.

საპასუხოდ განიმარტა, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, თუმცა ისინი მჭიდროდ უნდა იყოს კოორდინირებული, რაც ხაზს უსვამს ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული დაგეგმარების ჩარჩო დოკუმენტებს შორის თანხვედრის მნიშვნელობას.

შემდგომ დისკუსია წარიმართა ქალაქისთვის დამახასიათებელ რამდენიმე კონკრეტულ საკითხზე. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს საინჟინრო და ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გადაუდებელ საჭიროებას, განსაკუთრებით საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციისა და ელექტროენერგიის მიწისქვეშა გამანაწილებელი ქსელების მოწყობის გზით. მათ ასევე ხაზი გაუსვეს სტრატეგიულ ჩარჩო დოკუმენტში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, მათ შორის რაბათის ციხის რეაბილიტაციასა და ტბის ტერიტორიის განვითარების ასახვის მნიშვნელობას.

ჰიბრიდული სამუშაო შეხვედრის პრეზენტაცია

ჰიბრიდული სამუშაო შეხვედრის დაინტერესებული მხარეები

მობილობა და დაკავშირებადობა ასევე გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი მთავარი საკითხი. აღინიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს

სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შეფასების პროექტი, რომელიც მოიცავს როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაზიდვებს. ამავდროულად, მონაწილეებმა გამოთქვეს შეშფოთება მზარდი სატვირთო ნაკადების გარემოზე ზემოქმედების გამო და მიუთითეს შემოვლითი გზის ინფრასტრუქტურის განხილვის აუცილებლობაზე.

სამუშაო შეხვედრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ახალციხის აუთვისებელ ეკონომიკურ პოტენციალს, განსაკუთრებით აგრო, ეკო და კულტურული ტურიზმის მიმართულებით. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, მონაწილეებმა ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებად დაასახელეს სარწყავი სისტემების გაუარესებული მდგომარეობა, ასევე ლოგისტიკური და შესანახი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, რაც უარყოფითად აისახება პროდუქტიულობასა და რეგიონულ ღირებულებათა ჯაჭვების ფუნქციონირებაზე.

დისკუსიის დროს ასევე წამოიჭრა გარემოსდაცვითი და მარეგულირებელი საკითხები. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული დაგეგმარების პროცესში “წყლის რესურსების მართვის შესახებ” საქართველოს კანონი. დისკუსია, ასევე, შეეხო ტყის ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმებზე მიმდინარე მუშაობას, მათ შორის, ტყის გაშენებისა და ენდემური სახეობების გავრცელების ხელშეწყობას.

გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა „თავდაცვის კოდექსით“ გათვალისწინებულ მარეგულირებელ შეზღუდვებზე, კერძოდ კი თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ ობიექტებთან სიახლოვეს მშენებლობისთვის წინასწარი თანხმობის მიღების აუცილებლობაზე.

სამუშაო შეხვედრის შედეგებმა პირდაპირი ასახვა პოვა სცენარების დაზუსტების, MCA-ის (მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის) გამოყენებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის პროცესში. ასევე, გამოიკვეთა ის ძირითადი უწყებები, რომლებთანაც საჭიროა შემდგომი მიზნობრივი კონსულტაციების გამართვა სპეციფიკურ თემატურ საკითხებზე; მათ შორისაა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „საქართველოს რკინიგზა“ და “ეროვნული სატყეო სააგენტო”.

ჰიბრიდული სამუშაო შეხვედრა

Akhaltsikhe 1830 plan

ხედვა და სტრატეგია

ხედვის სტრუქტურა

ხედვა ადგილობრივ თემებს სთავაზობს მათი გრძელვადიანი მომავლის გააზრებისა და დაგეგმვის ახალ გზებს. ეს მიდგომა აერთიანებს როგორც სტრატეგიულ ჩარჩოს, ისე მონაწილეობით პროცესს, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, ჩამოაყალიბონ საერთო მისწრაფებები და ერთმანეთს შეუსაბამონ თავიანთი მოლოდინები განვითარების ტრაექტორიებთან დაკავშირებით.

მარტივად რომ ვთქვათ, ხედვის შემუშავება არის დაგეგმვის პროცესი, რომლის მეშვეობითაც თემი კოლექტიურად განსაზღვრავს სასურველ მომავალ მდგომარეობას და იწყებს მის მისაღწევად საჭირო ნაბიჯების გადადგმას. თუმცა, ამ საბაზისო განმარტების მიღმა, ხედვის შემუშავება მოქმედებს როგორც ერთობლივი და იტერაციული პროცესი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პერსპექტივებს, ხელს უწყობს კონსენსუსის ჩამოყალიბებას და აძლიერებს განვითარების სტრატეგიების მიმართ პასუხისმგებლობის განცდას. იგი მოუწოდებს თემებს, გასცდნენ პრობლემების მოკლევადიან გადაჭრას და ნაცვლად ამისა, ჩაერთონ პროაქტიულ, მომავალზე ორიენტირებულ აზროვნებაში, რომელიც ითვალისწინებს სოციალურ, ეკონომიკურ, სივრცით და გარემოსდაცვით განზომილებებს.

მნიშვნელოვანია, რომ ხედვა, ასევე, ასრულებს ხიდის როლს აბსტრაქტულ მიზნებსა და პრაქტიკულ განხორციელებას შორის. კოლექტიური მისწრაფებების სტრატეგიულ მიმართულებებად და პრიორიტეტებად გარდაქმნით, იგი საფუძველს უყრის პოლიტიკის შემუშავებას, სივრცით დაგეგმარებასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებებს. ამდენად, იგი წარმოადგენს კრიტიკულ ინსტრუმენტს მდგრადი და მედეგი ურბანული და რეგიონული განვითარების წარმართვისთვის.

ხედვისა და მისი შესაბამისი სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად, ჩვენ გამოვიყენეთ GOST-ის მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც სტრატეგიული დაგეგმარებისადმი სტრუქტურირებულ და იერარქიულ მიდგომას გვთავაზობს. ეს ჩარჩო განსაზღვრავს ურთიერთკავშირს გრძელვადიან მიზნებს, კონკრეტულ ამოცანებს, ქმედით სტრატეგიებსა და გაზომვად ტაქტიკას შორის, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და ლოგიკურ განვითარებას ხედვიდან იმპლემენტაციამდე.

GOST ჩარჩოს გამოყენებით, ხედვა გარდაიქმნება მკაფიოდ განსაზღვრულ სტრატეგიულ მიმართულებებად, რაც შესაძლებელს ხდის ფართო მისწრაფებებისა და კონკრეტული ინტერვენციების ურთიერთთანხვედრას. ეს მიდგომა არა მხოლოდ ზრდის დაგეგმარების პროცესის სიცხადესა და თანმიმდევრულობას, არამედ ქმნის სტრუქტურირებულ საფუძველს მომდევნო ეტაპისთვის, სადაც ხედვა შემდგომში უფრო დეტალურ კონცეფტუალურ გეგმად გარდაიქმნება.



GOST-ის სტრუქტურა

“ახალციხე გარდაიქმნება ძლიერ რეგიონულ ცენტრად, რომელიც განპირობებულია მისი ბუნებრივი, მთა-გორიანი ლანდშაფტით, კულტურული მემკვიდრეობითა და რეგიონული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით. კომპაქტური და განახლებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქი გააძლიერებს მის როლს, მომსახურების, ტურიზმისა და ლოგისტიკის მიმართულებით.

დაგეგმილი ურბანული განახლება და ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება შექმნის უფრო დაკავშირებულ და ქვეითად მოსიარულეთათვის მოსახერხებელ გარემოს. უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელი, რომელიც აკავშირებს მდინარეს, პარკებსა და რეკრეაციულ ზონებს, ხელს შეუწყობს კლიმატის ადაპტაციას და გაუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ამავდროულად ქალაქს გახდის, ვიზიტორებისა და ბიზნესისთვის, მეტად მიმზიდველს .”

1 *რეგიონული კეთილდღეობის წამყვანი ფაქტორი*

2 *ჯანსაღი და კლიმატისადმი ადაპტირებადი ქალაქი*

3 *ტურიზმის მრავალმხრივი, ინტეგრირებული განვითარება*

4 *კომპაქტური და საცხოვრებლად მიმზიდველი ქალაქი*

5 *შეუფერხებელი კავშირები ყველა დონეზე*

1 *რეგიონული კეთილდღეობის წამყვანი ფაქტორი*

- ახალციხის, როგორც კომპაქტური, რეგიონული ცენტრის გაძლიერება, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ კეთილდღეობას მომსახურების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და ლოგისტიკის გზით.
- მისი, როგორც ძირითადი სერვისების ჰაბის, ფუნქციის გაფართოება, განსაკუთრებით ჯანდაცვისა და უმაღლესი განათლების სფეროში.
- მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის გაძლიერება ადგილობრივი წარმოებისა და გადამუშავების მხარდაჭერის გზით; ამასთან, მისი ქალაქთან, როგორც პროდუქციის წარმოჩენისა და გაცვლის სივრცესთან, დაკავშირება. ფერმერთა ბაზრის განახლება, რათა იგი იქცეს ადგილობრივი ვაჭრობის, ღირებულებათა ჯაჭვებისა და რეგიონული იდენტობის მნიშვნელოვან ცენტრად.
- ლოგისტიკისა და სატვირთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალციხის რეგიონულ სატრანსპორტო მარშუტებზე მდებარეობის ეფექტურად გამოყენების მიზნით.
- ქალაქში გამავალი დიდი რაოდენობის სატვირთო ავტომობილებისთვის ინფრასტრუქტურის გაძლიერება, სატვირთო გადაზიდვების მართვის, კავშირებისა და ეკონომიკური ეფექტების გაუმჯობესების მიზნით.
- ეკონომიკური განვითარების დაკავშირება ქალაქის ტურიზმისა და მომსახურების როლთან.



ახალციხე გარდაიქმნება ძლიერ რეგიონულ ცენტრად, რომელიც განპირობებულია *მისი ბუნებრივი, მთა-გორიანი ლანდშაფტით, კულტურული მემკვიდრეობითა და* ***რეგიონული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით****. კომპაქტური და განახლებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქი გააძლიერებს მის როლს, მომსახურების, ტურიზმისა* ***და ლოგისტიკის მიმართულებით.***

დაგეგმილი ურბანული განახლება და ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება შექმნის უფრო დაკავშირებულ და ქვეითად მოსიარულეთათვის მოსახერხებელ გარემოს. უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელი, ***რომელიც*** *აკავშირებს მდინარეს, პარკებსა და რეკრეაციულ ზონებს, ხელს შეუწყობს კლიმატის ადაპტაციას და გაუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ამავდროულად* ***ქალაქს გახდის****, ვიზიტორებისა და* ***ბიზნესისთვის, მეტად მიმზიდველს.***

2 ჯანსაღი და კლიმატისადმი ადაპტირებადი ქალაქი

- ახალციხის მწვანე-ლურჯი ქსელის გაძლიერება კლიმატისადმი ადაპტაციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც ქალაქის მიმზიდველობას გაზრდის მაცხოვრებლების, ვიზიტორებისა და ბიზნესებისთვის.
- ქალაქის იდენტობის ნაწილად შეიქმნას უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელი, რომელიც დააკავშირებს მდინარე ფოცხოვისწყალს, პარკებს, ქუჩებსა და რეკრეაციულ სივრცეებს.
- წყალდიდობების მიმართ მედეგობის გაძლიერება ბუნებაზე დაფუძნებული მდინარის სტაბილიზაციის, აღდგენილი სანაპირო ლანდშაფტებისა და წყლისადმი მგრძნობიარე ინტეგრირებული დიზაინის ღონისძიებების მეშვეობით.
- უსაფრთხო, მიმზიდველი და ქვეითთათვის ხელსაყრელ საჯარო სივრცეებზე მისაწვდომობის გაუმჯობესება.
- ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ბუნებასთან ყოველდღიური კავშირის გაძლიერების გზით.
- ბუნებრივ რესურსებსა და ქალაქის ურბანულ განახლებასა და მობილობის გაუმჯობესებას შორის კავშირების გაძლიერება.



ახალციხე გარდაიქმნება ძლიერ რეგიონულ ცენტრად, რომელიც განპირობებულია მისი ბუნებრივი, მთა-გორიანი ლანდშაფტით, *კულტურული მემკვიდრეობითა* ***და რეგიონული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით****. კომპაქტური და განახლებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქი გააძლიერებს მის როლს, მომსახურების, ტურიზმისა და ლოგისტიკის მიმართულებით.*

დაგეგმილი ურბანული განახლება და ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება შექმნის უფრო დაკავშირებულ და ქვეითად მოსიარულეთათვის მოსახერხებელ გარემოს.
უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელი, რომელიც აკავშირებს მდინარეს, პარკებსა და რეკრეაციულ ზონებს, ხელს შეუწყობს კლიმატის ადაპტაციას და გაუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ამავდროულად ქალაქს გახდის, *ვიზიტორებისა და ბიზნესისთვის,* ***მეტად მიმზიდველს.***

3 ტურიზმის მრავალმხრივი, ინტეგრირებული განვითარება

- ახალციხის, როგორც მიმზიდველი დანიშნულების ადგილის, გაძლიერება კულტურული მემკვიდრეობის, მთიანი ლანდშაფტისა და რეგიონული ტურისტული ცენტრის როლის გამოყენებით.
- ქალაქის ბუნებრივი რესურსების გამოყენება რეკრეაციული შესაძლებლობების გაფართოებისა და ვიზიტორებისთვის მისი მიმზიდველობის გაზრდის მიზნით.
- ვიზიტორებისთვის მარტივი და უკეთესი გამოცდილების შესაქმნელად, მისაწვდომობის, ორიენტაციისა და საზოგადოებრივი სივრცის ხარისხის გაუმჯობესება.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, საზოგადოებრივი სივრცეებისა და დასასვენებელი ადგილების ერთმანეთთან დაკავშირება ფეხით მოსიარულეთათვის მოსახერხებელი და ინტეგრირებული ურბანული გარემოს მეშვეობით.
- ადგილობრივი ბიზნესის და ტურისტული მომსახურების მხარდაჭერა, რომლებიც სარგებლობენ ვიზიტორების აქტივობის ზრდით.
- ტურიზმის განვითარების დაკავშირება განახლებულ ინფრასტრუქტურასთან, ურბანულ განახლებასთან და ქალაქის ფართო მიმზიდველობასთან მაცხოვრებლლების, ვიზიტორებისა და ბიზნესისთვის.



ახალციხე *გარდაიქმნება ძლიერ რეგიონულ ცენტრად, რომელიც* ***განპირობებულია მისი ბუნებრივი, მთა-გორიანი ლანდშაფტით, კულტურული მემკვიდრეობითა*** *და რეგიონული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით. კომპაქტური და განახლებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქი* ***გაძლიერებს მის როლს, მომსახურების, ტურიზმისა*** *და ლოგისტიკის* ***მიმართულებით.***

დაგეგმილი ურბანული განახლება და ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება შექმნის უფრო დაკავშირებულ და ქვეითად მოსიარულეთათვის მოსახერხებელ გარემოს. უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელი, რომელიც აკავშირებს მდინარეს, პარკებსა და რეკრეაციულ ზონებს, ხელს შეუწყობს კლიმატის ადაპტაციას და გაუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ამავდროულად ***ქალაქს გახდის, ვიზიტორებისა*** *და ბიზნესისთვის,* ***მეტად მიმზიდველს.***

4 *კომპაქტური და საცხოვრელად მიმზიდველი ქალაქი*

- ახალციხის, როგორც მიმზიდველი და კომპაქტური ქალაქის გაძლიერება მიზანმიმართული ურბანული განახლების გზით.
- ურბანული გაფართოების შეზღუდვა და ინვესტიციების კონცენტრირება არსებული ქალაქის ცენტრში.
- ქუჩების, მოედნებისა და საზოგადოებრივი სივრცეების ხარისხის, უსაფრთხოებისა და კომფორტულობის გაუმჯობესება.
- ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესების გზით, უბნების, ქალაქის ცენტრისა და ძირითადი დანიშნულების ადგილების დაკავშირება.
- საზოგადოებრივი სივრცეების, მისაწვდომობისა და ურბანული კეთილმოწყობის გაუმჯობესების გზით, ცხოვრების საერთო ხარისხისა და ეკონომიკური მიმზიდველობის გაზრდა მაცხოვრებლებისთვის, ვიზიტორებისა და ბიზნესებისთვის.



ახალციხე გარდაიქმნება *ძლიერ რეგიონულ ცენტრად, რომელიც განპირობებულია მისი ბუნებრივი, მთა-გორიანი ლანდშაფტით, კულტურული მემკვიდრეობითა და რეგიონული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით.* ***კომპაქტური და განახლებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქი*** *გააძლიერებს მის როლს, მომსახურების, ტურიზმისა და ლოგისტიკის მიმართულებით.*

დაგეგმილი ურბანული განახლება და ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება შექმნის უფრო დაკავშირებულ და ქვეითად მოსიარულეთათვის მოსახერხებელ გარემოს. *უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელი, რომელიც აკავშირებს მდინარეს, პარკებსა და რეკრეაციულ ზონებს, ხელს შეუწყობს კლიმატის ადაპტაციას და* ***გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ამავდროულად ქალაქს გახდის, ვიზიტორებისა*** *და ბიზნესისთვის,* ***მეტად მიმზიდველს.***

5 შეუფერხებელი კავშირები ყველა დონეზე

- ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება, რათა ახალციხე გახდეს უფრო დაკავშირებული, ფეხით სასიარულოდ მოსახერხებელი და მისაწვდომი ქალაქი მაცხოვრებლებისთვის, ვიზიტორებისა და ბიზნესებისთვის.
- ფეხით გადაადგილების წახალისება და ყოველდღიური მოძრაობის უსაფრთხოებისა და კომფორტის გაუმჯობესება
- უბნებს, ქალაქის ცენტრს, საზოგადოებრივ სერვისებსა და დასასვენებელ ზონებს შორის კავშირების გაუმჯობესება
- უფრო დაკავშირებული ურბანული სტრუქტურის შექმნა, რომელიც მხარს უჭერს კომპაქტური ქალაქის განვითარებას
- მისაწვდომობის, უსაფრთხოებისა და კომფორტის გასაუმჯობესებლად, ქუჩებისა და გადაადგილების დერეფნების განახლება უნივერსალური ურბანული დიზაინის პრინციპების ინტეგრაციით.
- მობილობის ინვესტიციების დაკავშირება ურბანულ განახლებასთან და საზოგადოებრივი სივრცის გაუმჯობესებასთან
- ძირითადი დანიშნულების ადგილების, მათ შორის საავადმყოფოების, უნივერსიტეტების, ბაზრებისა და ტურისტული ზონების მისაწვდომობის ხელშეწყობა
- ქალაქის მიმზიდველობის გაძლიერება უკეთესი კავშირების მეშვეობით მოსახლეობისთვის, ვიზიტორებისა და ბიზნესებისთვის



ახალციხე *გარდაიქმნება ძლიერ რეგიონულ ცენტრად, რომელიც განპირობებულია მისი ბუნებრივი, მთა-გორიანი ლანდშაფტით, კულტურული მემკვიდრეობითა და რეგიონული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით. კომპაქტური და განახლებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქი გაძლიერებს მის როლს, მომსახურების, ტურიზმისა და ლოგისტიკის მიმართულებით.*

დაგეგმილი ურბანული განახლება და ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება შექმნის უფრო ***დაკავშირებულ და ქვეითად მოსიარულეთათვის მოსახერხებელ გარემო. უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელი,*** *რომელიც აკავშირებს მდინარეს, პარკებსა და რეკრეაციულ ზონებს, ხელს შეუწყობს კლიმატის ადაპტაციას და* ***გაუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ამავდროულად ქალაქს გახდის, ვიზიტორებისა*** *და ბიზნესისთვის,* ***მეტად მიმზიდველს.***

G

“ახალციხე გარდაიქმნება ძლიერ რეგიონულ ცენტრად, რომელიც განპირობებულია მისი ბუნებრივი, მთა-გორიანი ლანდშაფტით, კულტურული მემკვიდრეობითა და რეგიონული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით.

კომპაქტური და განახლებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქი გააძლიერებს მის როლს, მომსახურების, ტურიზმისა და ლოგისტიკის მიმართულებით.
დაგეგმილი ურბანული განახლება და ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება შექმნის უფრო დაკავშირებულ და ქვეითად მოსიარულეთათვის მოსახერხებელ გარემოს. უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელი, რომელიც აკავშირებს მდინარეს, პარკებსა და რეკრეაციულ ზონებს, ხელს შეუწყობს კლიმატის ადაპტაციას და გაუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ამავდროულად ქალაქს გახდის, ვიზიტორებისა და ბიზნესისთვის, მეტად მიმზიდველს .”

O

1 — *რეგიონული კეთილდღეობის წამყვანი ფაქტორი*

2 — *ჯანსაღი და კლიმატისადმი ადაპტირებადი ქალაქი*

3 — *ტურიზმის მრავალმხრივი, ინტეგრირებული განვითარება*

4 — *კომპაქტური და საცხოვრებლად მიმზიდველი ქალაქი*

5 — *შეუფერხებელი კავშირები ყველა დონეზე*

S

- ახალციხის, როგორც რეგიონული სერვის ცენტრის როლის გაძლიერება
- ძირითადი სექტორების გაფართოება, მათ შორის სოფლის მეურნეობის, ლოგისტიკის, ტურიზმისა და მომსახურების სფეროები
- ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა წარმოების, გადამუშავებისა და ფერმერთა ბაზრის გამოცოცხლების გაუმჯობესების გზით
- სატვირთო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განახლება რეგიონული სატრანსპორტო ნაკადებიდან სარგებლის მისაღებად
- ეკონომიკური განვითარების უფრო მჭიდროდ დაკავშირება ტურიზმთან და ადგილობრივ მომსახურებასთან

- ქალაქში უწყვეტი მწვანე-ლურჯი ქსელის შექმნა
- ლანდშაფტისა და წყლის სისტემების გამოყენება კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის გასაუმჯობესებლად
- უსაფრთხო, მიმზიდველ და ფეხით სავალ საზოგადოებრივ სივრცეებზე წვდომის გაუმჯობესება
- წყალდიდობისადმი მედეგობის გაუმჯობესება ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მეშვეობით
- ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის მხარდაჭერა ბუნებასთან ყოველდღიური უკეთესი წვდომის გზით

T

- ახალციხის, როგორც მიმზიდველი ტურისტული ადგილის გაძლიერება.
- კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის, როგორც ქალაქის მთავარი ტურისტული აქტივების, გამოყენება.
- საზოგადოებრივი სივრცის, ხელმისაწვდომობისა და ორიენტაციის გაუმჯობესება ვიზიტორების გამოცდილების გასაუმჯობესებლად.
- კულტურული მემკვიდრეობის, დასვენებისა და ურბანული სივრცეების ინტეგრირებულ ტურისტულ ქსელთან დაკავშირება.
- ადგილობრივი ბიზნესისა და მომსახურების მხარდაჭერა, რომლებიც სარგებლობენ ტურიზმის ზრდით.

- კომპაქტური ურბანული სტრუქტურის გაძლიერება ხელმისაწვდომი ყოველდღიური სერვისებით.
- მიზანმიმართული ურბანული განახლების ხელშეწყობა ნაშენი გარემოს გასაუმჯობესებლად.
- ქუჩების, მოედნების და საზოგადოებრივი სივრცეების გაუმჯობესება კომფორტის, უსაფრთხოებისა და მიმზიდველობის უზრუნველსაყოფად.
- უბნებისა და ძირითადი დანიშნულების ადგილების დაკავშირება უფრო თანმიმდევრულ ურბანულ სტრუქტურაში.
- საცხოვრებლის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი სივრცის გაუმჯობესება ყოველდღიური ურბანული ცხოვრებისთვის.

- ინტეგრირებული მობილობის გაუმჯობესება ქალაქში და მთელს რეგიონში
- ფეხით სიარულის წახალისება, მისაწვდომობისა და უსაფრთხო ყოველდღიური გადაადგილების გაძლიერება
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ქუჩებისა და გადაადგილების დერეფნების განახლება
- საგზაო მოძრაობის, პარკირებისა და ტვირთების გადაადგილების უკეთ ორგანიზება
- ძირითადი დანიშნულების ადგილების, როგორიცაა მომსახურების, ბაზრებისა და ტურისტული ზონების, მისაწვდომობის გაუმჯობესება


ბორჯომი
ახალქალაქი
აბასთუმანი
ადიგენი
საფარის
მონასტერი
პანორამული ხედვის
წერტილები
ბილიკების ქსელი
ტყის
ბორცვები
კულტურული
მემკვიდრეობის
კლასტერი
აგროტურიზმი
რაბათი
ებრაული
დასახლება
წყალდიდობისგან დაცული,
ადვილად მისადგომი სანაპირო
ბილიკების ქსელი
ლანდშაფტის კიდე
ბაზარი
ამირანის
გორა
სარკინიგზო კავშირი
ლანდშაფტის კიდე
ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიის განვითარება
ტვირთები
მწვანე და ლურჯი კორიდორი
ტბისპირა
რეკრეაციული სივრცეები
კომერციული
კლასტერი
სპორტი და
აქტივობები
განახლებული
ცენტრი
ადმინისტრაცია
სიმჭიდროვის ზრდა
ქვე-
ცენტრი
ავტობუსის
მარშუტები
მწვანე ქსელები
ცენტრალური
საავადმყოფო
სიმჭიდროვის ზრდა
სამხედრო
კლასტერი
პანორამული ხედვის
წერტილები
მრავალფეროვანი, ტერასული
სოფლის მეურნეობა
დასახლებული ტერიტორია და ურბანული განახლება
მზარდი ეკონომიკა
მწვანე და ლურჯი ინფრასტრუქტურა
ტურიზმის განვითარება
რეგიონული დერეფნები

სტრატეგიული სცენარები

მე-19 საუკუნის მიწურულიდან და მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში, ინდუსტრიალიზაციის პროცესმა ურბანული მოსახლეობის ზრდა თითქმის შეუქცევად ტენდენციად აქცია. ქალაქებში მრავალფეროვანი ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, რამაც, თავის მხრივ, სოფლებიდან ურბანული ცენტრებისკენ ინტენსიური მიგრაცია გამოიწვია. გაეროს პროგნოზების თანახმად, 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის ურბანული წილი, სავარაუდოდ, დაახლოებით 68%-ს მიაღწევს, ხოლო საუკუნის ბოლოსთვის- 85%-მდე გაიზრდება [1].

დღეს გლობალური დინამიკა აღარ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ როგორც სოფლიდან ქალაქისკენ მიმართული ცალმხრივი მიგრაცია; პირიქით, გამოიკვეთა ახალი ტენდენციები და მოდელები. განვითარებულ სამყაროში დეინდუსტრიალიზაციის პროცესმა შემოიტანა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ლოგიკა და გავლენის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორ ირჩევენ ინდივიდები საცხოვრებელ ადგილებსა და დანიშნულების პუნქტებს. ურბანიზაციის საერთო ზრდის მიუხედავად, ზოგიერთი ქალაქი არ ფართოვდება, ზოგ შემთხვევაში კი მნიშვნელოვან კლებას განიცდის. ეს კლება არ შემოიფარგლება მხოლოდ მოსახლეობის დაკარგვით, არამედ აისახება უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებსა და ინფრასტრუქტურის ხარისხზეც[2].

1 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), ეკონომიკური და სოციალური დაცვის დეპარტამენტი, მსოფლიო ურბანიზაციის პერსპექტივები: 2018 წლის გადახედვა (ნიუ-იორკი: გაერო, 2019წ.), 12–15.

2 გაეროს მოსახლეობის დასახლებების პროგრამა (UN-Habitat), მსოფლიო ქალაქების ანგარიში 2022 (ნაირობი: UN-Habitat, 2022), https://unhabitat.org/world-cities-report-2022 .

მაკრო და მიკრო ურბანული ტენდენციები

თანამედროვე ურბანიზაციის ტენდენციების კონტექსტში რამდენიმე პარალელური პროცესის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.

დიდი ქალაქები, როგორც წესი, უფრო სწრაფი ტემპით იზრდებიან, ვიდრე საშუალო და მცირე ზომის ქალაქები. ეს ტენდენცია ნაწილობრივ განპირობებულია სელექციური მიგრაციული პროცესებით, როდესაც ახალგაზრდა და მაღალკვალიფიციური მოსახლეობა გადაადგილდება მეტროპოლიური ცენტრებისკენ, სადაც უფრო ფართო ეკონომიკური შესაძლებლობები და უფრო დივერსიფიცირებული შრომის ბაზრებია ხელმისაწვდომი[3]. გარდა ამისა, დიდ ქალაქებსა და მათ მეტროპოლიურ არეალებს აქვთ უფრო კომპლექსური ეკონომიკური სტრუქტურები და უფრო კონკურენტუნარიანი სოციალური და კომერციული ფუნქციები მცირე და საშუალო დასახლებებთან შედარებით.[2]

გლობალურ დონეზე ეს მოდელი მჭიდროდ არის დაკავშირებული მთავარ ურბანულ ცენტრებში ეკონომიკური საქმიანობის სივრცით კონცენტრაციასთან, რაც აძლიერებს აგლომერაციულ ეკონომიკას და ზრდის დიდი ქალაქების კონკურენტულ უპირატესობას.

საქართველოში ეს პროცესი განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული, რადგან საერთო დემოგრაფიული კლების ფონზე ,[4] ურბანული ზრდა ფიქსირდება

3 ჟილ დურანტონი და დიეგო პუგა, „ურბანული აგლომერაციული ეკონომიკის მიკრო-საფუძვლები“, წიგნში: „რეგიონული და ურბანული ეკონომიკის სახელმძღვანელო“, ტომ. 4, რედ. ჯ. ვ. ჰენდერსონი და ჟ.-ფ. თისე (ამსტერდამი: Elsevier, 2004 წ.), 2063–2117.

4გაეროს მოსახლეობის დასახლებების პროგრამა (UN-Habitat). ქვეყნის პროფილი: საქართველო- ურბანული განვითარების დინამიკა. ნაირობი: UN-Habitat, 2020წ.

რამდენიმე დიდ ქალაქში, კერძოდ, თბილისში, ბათუმსა და გარკვეულწილად რუსთავში. ამავდროულად, ბევრი მცირე და საშუალო ზომის ქალაქი განიცდის ან მოსახლეობის კლებას, ან ინარჩუნებს ფარდობით სტაბილურობას, ძირითადად, შიდა რეგიონული მიგრაციული ნაკადების ხარჯზე[5].

მიკრო ტენდენციები

მობილობის ზრდა და საცხოვრებლის ხელმისაწვდომობაში არსებული განსხვავებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონული ცენტრების ფუნქციონირებაზე, რაც აისახება შიდარეგიონული მიგრაციის მოდელებში. ეს გულისხმობს, რომ მცირე ზომის ქალაქებში საცხოვრებელი, როგორც წესი, უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე დიდ ურბანულ ცენტრებში, რაც ქმნის „მიზიდვა-განდევნის“ (push-pull) დინამიკას და ხელს უწყობს მოსახლეობის გადანაწილებას რეგიონების მასშტაბით. თუმცა, ეს ფაქტორი, როგორც წესი, მოქმედებს სხვა სტრუქტურულ ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა დასაქმების შესაძლებლობები, მომსახურებების ხელმისაწვდომობა და ინსტიტუციური შესაძლებლობები.

ბოლო წლებში გამოიკვეთა შედარებით ახალი ტენდენცია, რომელიც დიდწილად პოსტპანდემიური (COVID-19) გამოცდილებით და დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმატების სწრაფი გაფართოებით არის განპირობებული [6]. ამ განვითარებამ ხელი შეუწყო დასაქმების ნაწილობრივ

5 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). ურბანული "გაფანტულობის" გადააზრება: მოძრაობა მდგრადი ქალაქებისკენ. პარიზი: OECD Publishing, 2018წ..

6ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). დისტანციური სამუშაოების ახალი გეოგრაფია. გამოცემაში: OECD-ის რეგიონები და ქალაქები ერთი შეხედვით 2024წ. პარიზი: OECD Publishing, 2024წ.

გამიჯვნას სამუშაო ადგილის ფიზიკური მდებარეობისგან, რამაც დაასუსტა ყოველდღიურ ქანქარისებურ მიგრაციაზე დაფუძნებული ურბანული ინტერაქციის ტრადიციული ლოგიკა.

შედეგად, სამუშაო ძალის გეოგრაფია უფრო მოქნილი გახდა, რაც გარკვეულ სექტორებში- განსაკუთრებით ცოდნატევად და ციფრულ პროფესიებში - დასაქმებულებს საშუალებას აძლევს, საცხოვრებელი ადგილი ტრადიციული მეტროპოლიტური ზონების მიღმა აირჩიონ. ამ ცვლილებამ, ზოგ შემთხვევაში, გაზარდა მცირე და საშუალო ზომის ქალაქების მიმზიდველობა, რაც მათ განვითარების ახალ შესაძლებლობებს უქმნის საცხოვრებელზე მოთხოვნისა და ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის კუთხით.

რას ნიშნავს ეს ახალციხისთვის?

ახალციხე წარმოადგენს სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვან რეგიონულ ცენტრს, რომლის დემოგრაფიული პროფილი ხასიათდება სტაგნაციითა და ზომიერი კლებით, რაც განპირობებულია დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ერთობლიობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 18,000 ადამიანს შეადგენს, ხოლო ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 45,000-დან 50,000-მდე მერყეობს, (ქალაქი შიდა მექანიკური მიგრაციის შედეგად სტაბილიზრდება). მოსახლეობის კლება ძირითადად განპირობებულია როგორც შიდა, ისე საერთაშორისო მიგრაციით, განსაკუთრებით თბილისის მიმართულებით, რაც ასახავს დისბალანსს ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და შრომის ბაზრის პირობებს შორის[1].

ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალციხე ფუნქციონირებს როგორც რეგიონული მომსახურების ჰაბი, სადაც დასაქმება კონცენტრირებულია საჯარო სექტორში (ადმინისტრაცია, განათლება და ჯანდაცვა), კერძო სექტორის შედარებით შეზღუდული აქტივობის პარალელურად. ადგილობრივი ეკონომიკა კვლავ სუსტად დივერსიფიცირებულია, რაც ზღუდავს მაღალღირებული და მაღალშემოსავლიანი დასაქმების შესაძლებლობების შექმნას და ხელს უწყობს ახალგაზრდა და კვალიფიციური მოსახლეობის გადინებას. ამავდროულად, ქალაქს გააჩნია ტურიზმთან დაკავშირებული განვითარების პოტენციალი, რაც გამყარებულია მისი კულტურული და ისტორიული აქტივებით; თუმცა, ეს პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად ტრანსფორმირებული მდგრად და დივერსიფიცირებულ ეკონომიკურ ზრდაში[2].

სოციალური კუთხით, ახალციხე კვლავაც ასრულებს საკვანძო როლს მიმდებარე სასოფლო ტერიტორიებისთვის აუცილებელი სერვისების მიწოდებაში, რაც ნაწილობრივ აბალანსებს დემოგრაფიულ კლებას შიდამუნიციპალური მიგრაციის (სოფლიდან ქალაქში გადაადგილება) ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ქალაქის დემოგრაფიული სტრუქტურისთვის სულ უფრო მეტად ხდება დამახასიათებელი დემოგრაფიული დაბერება, ახალგაზრდების გადინება და ადამიანური კაპიტალის თანდათანობითი გამოფიტვა. ამ ტენდენციებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შრომის ბაზრის ეფექტურობაზე, სოციალურ მდგრადობასა და ქალაქის განვითარების გრძელვადიან ტრაექტორიაზე. ამ კონტექსტში, მივიჩნევთ, რომ ახალციხისა და მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მქონე სხვა ქალაქებისთვის, განვითარების ალტერნატიული ხედვების შერჩევა მჭიდროდ არის დაკავშირებული სპეციფიკურ მეთოდოლოგიურ ჩარჩოსთან, რომელიც აერთიანებს რელევანტურ კონტექსტსა და შესაძლო გრძელვადიან პერსპექტივებს.

ალტერნატიული სცენარების შემუშავება ქალაქის რეგენერაციის მიდგომის მეშვეობით

როგორც მანამდე აღინიშნა, ურბანიზაციის პროცესის აჩქარებამ მსოფლიო მასშტაბით დაგეგმარების დისციპლინაში წარმოშვა მდგრადი მეთოდოლოგიური ჩარჩოების შემუშავების მზარდი საჭიროება; ასეთი ჩარჩოები განვითარებას მართვად და მედეგ სტრუქტურაში მოაქცევს და ჩამოაყალიბებს შესაბამის დაგეგმარების ინსტრუმენტებს. მსგავსი მეთოდოლოგიების მთავარი მიზანია სწრაფ ურბანიზაციასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგების შერბილება და, გრძელვადიან პერსპექტივაში, მათი მოგვარება.

თუმცა, თანამედროვე ურბანული დინამიკის პერსპექტივიდან, სადაც განვითარების ტრაექტორიები მრავალფეროვანი და ჰეტეროგენული ფორმებით ვლინდება, ერთი დომინანტური მოდელი აღარ არის საკმარისი. ამის ნაცვლად, იზრდება საჭიროება სხვადასხვა ანალიტიკური და კონცეპტუალური პერსპექტივების უფრო ყოვლისმომცველ ჩარჩოში ინტეგრირებაზე.

1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით (თბილისი: საქსტატი, 2023).

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით (თბილისი: საქსტატი, 2023).

ალტერნატიული სცენარების მიმოხილვა

ხედვის ჩამოყალიბების ფაზაში კონტექსტზე ორიენტირებული სცენარების შემუშავებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ალტერნატივების განვითარების მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს ახალციხის უბანიზაციის განსხვავებულ (არაუნივერსალურ) ტენდენციებს, ეკონომიკურ და სივრცით-ფუნქციურ მახასიათებლებს. ქვემოთ მოცემული სცენარები განიხილავს ქალაქის განვითარების ალტერნატიულ გზებს, რომლებიც ეფუძნება კვლევის მიმოხილვის, ადგილზე ვიზიტებისა და ხედვის სამუშაო შეხვედრის (ვორქშოფის) დროს იდენტიფიცირებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. ისინი გვთავაზობენ სტრატეგიული არჩევანის ფართო სპექტრს - ქალაქის საბაზისო სისტემების სტაბილიზაციიდან მის ადგილობრივ და რეგიონულ პოტენციალის სრულ ათვისებამდე. ამგვარად, ისინი გვეხმარება სხვადასხვა შესაძლო ვარიანტების, ზეგავლენებისა და რისკების გააზრებაში.

ქვემოთ წარმოდგენილი ჩარჩო აღწერს ურბანული რეგენერაციის კონტექსტთვის შესაბამის განვითარების ალტერნატიული სცენარების გენერირების პროცესს. ის ამ ალტერნატივებს გეგმის ძირითადი კომპონენტების (კლასტერების) მიხედვით აჯგუფებს და, ამავდროულად, გამოკვეთს მათი შედარებისა და შეფასების მთავარ კრიტერიუმებს.

განვითარების ინტენსივობის მიხედვით სამი სცენარი- პრაგმატული, ადაპტირებადი და ტრანსფორმაციული - განლაგებულია შემდეგი სპექტრის გასწვრივ:

- პრაგმატული- ფოკუსირებულია არსებითი სისტემების სტაბილიზაციასა და გაუმჯობესებაზე;
- ადაპტირებადი- უზრუნველყოფს მოქნილობას განვითარების სამომავლო ტრაექტორიებში;
- ტრანსფორმაციული- მიზნად ისახავს ზრდის სტიმულირებასა და რეგიონული პოტენციალის გააქტიურებას.

თითოეული სცენარი აერთიანებს სივრცით სტრატეგიებს (კლასტერების მიხედვით: ურბანული სტრუქტურა, მწვანე-ლურჯი სისტემები, მობილობა), სხვადასხვა ეკონომიკურ შესაძლებლობს, პოლიტიკური ნების პრიორიტეტებსა და ინტერვენციის სხვადასხვა დონეებს, რაც მოიცავს როგორც ეტაპობრივ გაუმჯობესებებს, ისე უფრო ამბიციურ, მასშტაბურ პროექტებს. ეს ჩარჩო იძლევა იმის ტესტირების საშუალებას, თუ როგორ აყალიბებს სხვადასხვა პრიორიტეტები ქალაქის მომავალს.





სცენარი 1: პრაგმატული

პრაგმატული სცენარი ფოკუსირებულია ქალაქის არსებული სისტემების სტაბილიზაციასა და გაუმჯობესებაზე, ინფრასტრუქტურაში, მმართველობასა და საბაზისო სერვისებში ყველაზე მწვავე ხარვეზების აღმოფხვრის გზით. გაფართოების ნაცვლად, იგი პრიორიტეტს ანიჭებს უკვე არსებულის გაძლიერებას და საიმედო, ფუნქციური ურბანული პირობების უზრუნველყოფას.

ინვესტიციები კონცენტრირებულია არსებითი ინფრასტრუქტურის განახლებაზე, მათ შორის სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემებზე, სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მდინარის გასწვრივ წყალდიდობისგან დამცავი მექანიზმების გაძლიერებაზე. ამავდროულად, მიზნობრივი ინტერვენციები აუმჯობესებს ყოველდღიურ მობილობას ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო პირობების შექმნის, პარკირების უკეთესი მართვისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტებისა და გაჩერებების ოპტიმიზაციის გზით.

ფრაგმენტირებული და უკონტროლო განაშენიანების მოსაგვარებლად, ქალაქი აძლიერებს მმართველობით შესაძლებლობებს, რაც მოიცავს ზონირების აღსრულებას, განაშენიანების კონტროლსა და ნებართვების გაცემის უფრო ეფექტურ პროცესებს. სივრცითი თვალსაზრისით, ეს გულისხმობს ურბანული „ცოცვის/გაფართოების“ შეზღუდვას და ინვესტიციების ფოკუსირებას არსებულ ურბანულ ბირთვში.

საჯარო სივრცეებისა და გარემოსდაცვითი გაუმჯობესების ღონისძიებები ხორციელდება საბაზისო, თუმცა სტრატეგიულ დონეზე. ხდება არსებული პარკების, მოედნებისა და სამეზობლო მწვანე ზონების რეაბილიტაცია, ხოლო პრიორიტეტული ქმედებები მიმართულია მდინარისპირა ზოლების მდგომარეობის, ნარჩენების დაგროვების კერებისა და ლანდშაფტის დეგრადაციის აღმოფხვრაზე. ეს ზომები მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის გაუმჯობესებასა და მყისიერი რისკების შემცირებას ფართომასშტაბიანი ტრანსფორმაციის გარეშე.

ნაშენ გარემოში ყურადღება კვლავ ეთმობა არსებული საცხოვრებელი ფონდის, სოციალური ინფრასტრუქტურისა და საკვანძო საჯარო სივრცეების მოვლა-პატრონობასა და განახლებას, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, ხელმისაწვდომობასა და საბაზისო მომსახურებების მიწოდებას.

ეკონომიკურად, ეს სცენარი მხარს უჭერს ქალაქის როგორც რეგიონული მომსახურების ცენტრის არსებულ როლს, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის, მცირემასშტაბიანი წარმოებისა და საბაზრო ფუნქციების გაძლიერების გზით. ტურისტული და კულტურული აქტივები უფრო მეტად ნარჩუნდება, ვიდრე ფართოვდება; აქცენტი კეთდება არსებული ობიექტების კონსერვაციასა და მათი გამოყენებადობის გაუმჯობესებაზე.

მთლიანობაში, ეს სცენარი ითვალისწინებს მიზნობრივ, დაბალრისკიან ინტერვენციებს, რომლებიც აუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებს, განამტკიცებს საბაზისო ურბანულ სისტემებს და ქმნის სტაბილურ საფუძველს სამომავლო განვითარებისთვის.

ახალციხის საფუძვლების გაძლიერება მის ზრდამდე.

პრაგმატული სცენარი		
ჯგუფი	**თემები**	სტრატეგია თითოეული თემისთვის
A. ქალამშენებლობითი სტრუქტურა და მმართველობა	**მმართველობა**	მუნიციპალური ადმინისტრაციული შესაძლებლობების ოპტიმიზაცია გენერალური გეგმის მეშვეობით, თანამშრომელთა კვალიფიკაციის გაძლიერების, უფრო მკაფიო პროცედურებისა და აღსრულების უფრო ძლიერი მექანიზმების მხარდაჭერით.
	ტერიტორიის განვითარება	ქალაქის გაფანტული განვითარების (urban sprawl) შეზღუდვა და ინვესტიციების კონცენტრაცია ცენტრალურ ბირთვში
B. მწვანე ლურჯი და რეკრეაციული სისტემები	**მწვანე**	არსებული პარკების, მოედნებისა და უბნის ღია სივრცეების რეაბილიტაცია საბაზისო გამწვანებითი სამუშაოებით (ხეების დარგვა, ბალახისა და ბუჩქნარის განახლება, ჩრდილის შექმნა, სარწყავი სისტემების შეკეთება და დაზიანებული ლანდშაფტური ელემენტების ჩანაცვლება)
	წყალი	მდინარისპირა დაბინძურების კერების გაწმენდვა; მდ. ფოცხოვის კრიტიკულ მონაკვეთებზე ნაპირსამაგრი და ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება; სანაპირო ზოლების სანიტარიული მართვისა და მონიტორინგის სისტემის შექმნა
	რეკრეაცია	არსებული პარკებისა და ტბისპირა სივრცეების განახლება და კეთილმოწყობა საბაზისო ინფრასტრუქტურით: დასაჯდომები, განათება, საბავშვო ელემენტები, ნაგვის ურნები, სანიტარული კვანძები და ბარიერებისგან თავისუფალი გარემო.
C. ნაშენი გარემო და სოციალური ინფრასტრუქტურა	**საცხოვრებელი**	მრავალბინიანი საცხოვრებელი ფონდის გაუმჯობესება (სტრუქტურული მდგრადობა და ხელმისაწვდომობა)
	სოციალური ინფრასტრუქტურა	არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა
	საჯარო სივრცე	კრიტიკული მნიშვნელობის მქონე არეალების რეაბილიტაცია
	საინჟინრო ინფრასტრუქტურა	საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემის, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი და სანიაღვრე ქსელის პრობლემური უბნების რეაბილიტაცია.
D. ეკონომიკა, კულტურა და იდენტობა	**ეკონომიკა**	არსებული ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერება (განსაკუთრებით რეგიონული სასოფლო-სამეურნეო სექტორისა და მცირე მასშტაბიანი წარმოების მიმართულებით)
	ინდუსტრია	არსებული ადგილობრივი და რეგიონული ბიზნესების ხელშეწყობა და გაუმჯობესება (ახალი განვითარებების გარეშე)
	სოფლის მეურნეობა	ფერმერთა ბაზრის, როგორც მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი ურბანული ცენტრის, გაძლიერება, რომელიც დააკავშირებს სასოფლო წარმოებისა და გადამუშავების სივრცეებს ქალაქში არსებულ პროდუქტის წარმოჩენისა და ვაჭრობის სივრცეებთან.
	ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა	რესურსების მობილიზება და არსებული ტურისტული ადგილების მოვლა-პატრონობა.
E. მობილობა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა	**აქტიური მობილობა**	ქვეითთა უსაფრთხოება უბნებში, უსაფრთხო საფეხმავლო გადასასვლელები და ტროტუარების გამოყენების წესების აღსრულება
	ავტოსადგომი	ტროტუარებზე დგომის აკრძალვის აღსრულება; საცხოვრებელი ზონებში ავტოსადგომების ორგანიზება
	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	სატრანსპორტო მარშრუტების ოპტიმიზაცია; ავტობუსის გაჩერებებზე მისაწვდომობის გაუმჯობესება
	სატვირთო და ლოგისტიკური სისტემა	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება არსებული ნაკადების გასატარებლად და ქალაქის ლოგისტიკის ორგანიზება

სცენარი 2: ადაპტირებადი

ადაპტირებადი სცენარი ეფუძნება ქალაქის არსებულ ძლიერ მხარეებს და, ამავდროულად, კოორდინირებულად და მომავალზე ორიენტირებულად ავსებს სტრუქტურულ ხარვეზებს. იგი სცილდება საბაზისო სტაბილიზაციას - უფრო მკაფიოდ აწესრიგებს რა ზრდის პროცესს, აუმჯობესებს კავშირებს და ეტაპობრივად ანახლებს ურბანულ სისტემებს ჭარბი რისკის გარეშე.

სივრცითი თვალსაზრისით, ქალაქი სტრუქტურირებულია უფრო ძლიერი ბირთვის გარშემო, ცენტრს, მდინარესა და მიმდებარე უბნებს შორის გაუმჯობესებული კავშირებით. საჯარო სივრცეები, ქუჩები და მწვანე ზონები გაერთიანებულია ერთიან ქსელში, ხოლო მდინარის დერეფანი ხდება ცენტრალური მაცოცხლებელი ელემენტი, რომელიც ერთდროულად ეკოლოგიური და რეკრეაციული ხერხემლის ფუნქციას ასრულებს. ეს მიდგომა ამცირებს ფრაგმენტაციას და ქმნის უფრო გასაგებ და დაკავშირებულ ურბანულ სტრუქტურას.

მმართველობა და დაგეგმარება ძლიერდება ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებს შორის უკეთესი კოორდინაციით, რაც იძლევა განაშენიანების უფრო ეფექტური კონტროლის საშუალებას და, ამავდროულად, უზრუნველყოფს ნაბიჯ-ნაბიჯ, მოქნილ ზრდას. ხდება სტრატეგიული მიწების დარეზერვება სამომავლო განვითარებისთვის, ხოლო საჭიროებისამებრ ინერგება დროებითი და ადაპტაციური გამოყენების მოდელები.

საჯარო სივრცეებისა და გარემოს ხარისხი მნიშვნელოვნად უმჯობესდება. არსებული პარკები, სკვერები და სამეზობლო მწვანე ზონები ახლდება და ერთმანეთს უკავშირდება, ხოლო მდინარისპირა ტერიტორიები გარდაიქმნება ინტეგრირებულ ლურჯ-მწვანე სისტემად. ეს ინტერვენციები აუმჯობესებს კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობას, ზრდის ყოველდღიური გამოყენების შესაძლებლობებს და ქმნის უფრო მიმზიდველ და საცხოვრებლად კომფორტულ ურბანულ გარემოს.

ნაშენ გარემოში აქცენტი მოვლა-პატრონობიდან ეტაპობრივ გაუმჯობესებაზე გადადის. საცხოვრებელი ფონდი ახლდება ხარისხისა და ენერგოეფექტურობის კუთხით, ძლიერდება სოციალური ინფრასტრუქტურა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ფართოვდება საჯარო სივრცეები. ტექნიკური ინფრასტრუქტურა ფასდება და ახლდება სამომავლო განვითარების მხარდასაჭერად და სისტემური თავსებადობის უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკურად, ეს სცენარი აძლიერებს ახალციხის, როგორც რეგიონულ ცენტრის, როლს, ისეთი საკვანძო სექტორების მხარდაჭერით, როგორიცაა ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და მშენებლობასთან დაკავშირებული დარგები. ხდება არსებული ბიზნესების განახლება, აუთვისებელი ტერიტორიების სელექციური განვითარება და უმჯობესდება ლოგისტიკური ფუნქციები რეგიონული წარმოებისა და ვაჭრობის მხარდასაჭერად. ტურიზმი ფართოვდება გაუმჯობესებული სერვისების, ახალი მარშრუტებისა და კულტურული და ბუნებრივი აქტივების უკეთესი ინტეგრაციის გზით.

მობილობა ბალანსდება უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი სისტემების სასარგებლოდ. საზოგადოებრივი ტრანსპორტი უმჯობესდება უფრო ხშირი მარშრუტებისა და გაჩერებების უკეთესი ინტეგრაციის მეშვეობით, ხოლო საფეხმავლო და ველოინფრასტრუქტურა ფართოვდება, განსაკუთრებით მდინარის დერეფნის გასწვრივ. პარკირება უკეთ იმართება სტრუქტურირებული სისტემების მეშვეობით, ხოლო ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა ახლდება რეგიონული და ტრანსსასაზღვრო ნაკადების მისაღებად.

მთლიანობაში, ეს სცენარი ქალაქის განვითარებაში შემოიტანს სტრუქტურას, დაკავშირებადობასა და ხარისხს - ქმნის რა უფრო ორგანიზებულ, ხელმისაწვდომ და მედეგ ქალაქ ახალციხეს, ამასთანავე ინარჩუნებს მოქნილობას სამომავლო ზრდისთვის.



ახალციხის ცენტრის, მდინარისა და ყოველდღიური ცხოვრების ხელახლა დაკავშირება.

ადაპტირებადი სცენარი		
ჯგუფი	**თემები**	**სტრატეგია თითოეული თემისთვის**
A. ქალამშენებლობითი სტრუქტურა და მმართველობა	**მმართველობა**	ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციების ინტეგრაცია და ნაწილობრივი ფუნქციების დელეგირება ცენტრალურ დონეზე
	ტერიტორიის განვითარება	მომავალი განვითარებისათვის გარკვეული მიწების დარეზერვება, დროებითი გამოყენებების დაშვებით და ეტაპობრივი განვითარებით
B. მწვანე ლურჯი და რეკრეაციული სისტემები	**მწვანე**	ერთიანი მწვანე ქსელის შექმნა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს არსებულ პარკებს, საზოგადოებრივ სივრცეებს, სკოლებსა და მომსახურების ობიექტებს, ასევე პოტენციურ მწვანე სივრცეებს.
	წყალი	მდ. ფოცხოვის ნაპირის ფორმირება მართულ, ურბანულ, ლურჯ-მწვანე დერეფნად და არა მხოლოდ ტექნიკურ სადრენაჟე სისტემად
	რეკრეაცია	მოედნების გადაგეგმარება, ყოველდღიურ სოციალურად აქტიურ სივრცეებად გარდაქმნის მიზნით - მეტი მწვანე საფარით, ჩრდილითა და აქტიური საზღვრებით; პოტენციური პარკის გაფართოებისთვის ტერიტორიების დარეზერვება.
C. ნაშენი გარემო და სოციალური ინფრასტრუქტურა	**საცხოვრებელი**	მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების გაუმჯობესება, მათი მოვლა-პატრონობის მოდელების შეფასება და ოპტიმიზაცია, ენერგოეფექტიანობისა და ფასადის ელემენტების გაუმჯობესების გათვალისწინებით.
	სოციალური ინფრასტრუქტურა	სოციალური ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება არსებული ობიექტების რეაბილიტაციის, მოვლა-პატრონობისა და მოდერნიზაციის გზით, მათი ფიზიკური მდგომარეობის, ფუნქციურობის, უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.
	საჯარო სივრცე	საჯარო სივრცეების განახლება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გაფართოება, ღია კონკურსებით და კონკურენტული შერჩევის მექანიზმებით.
	საინჟინრო ინფრასტრუქტურა	საინჟინრო ქსელების შესაბამისობის ანალიზი, მომავალი განვითარების გათვალისწინებით.
D. ეკონომიკა, კულტურა და იდენტობა	**ეკონომიკა**	ქალაქის ძირითადი მამოძრავებელი სექტორების (ტურიზმი, სამშენებლო ბიზნესი/სამშენებლო მასალები, ლოგისტიკა) განსაზღვრა და გაფართოება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ რეგიონულ/ეროვნულ დონეზე.
	ინდუსტრია	არსებული ბიზნესების რეგიონული მასშტაბით განვითარება, ზრდის პრიორიტეტული სექტორების განსაზღვრა და ბრაუნფილდების შერჩევა მომავალი განვითარებისთვის.
	სოფლის მეურნეობა	შემკრები (ჰაბის) ფუნქციის განვითარება რეგიონული წარმოების მიმართულებით, ლოგისტიკური და სატრანსპორტო სისტემების ინტეგრირებით
	ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა	სერვის ინდუსტრიისა და ტურისტული პროდუქტების გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ეკო-ტურისტული მარშრუტების განვითარება.
E. მობილობა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა	**აქტიური მობილობა**	მდინარის დერეფნის გარდაქმნა აქტიური მობილობის ძირითად ღერძად; მოედნებზე ქვეითთა პრიორიტეტის უზრუნველყოფა; ველოსიპედის ქსელის განვითარება
	ავტოსადგომი	პარკირების ზონალური სანებართვო სისტემა და ქუჩის მიღმა ავტოსადგომების სისტემების კონსოლიდაცია
	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	მაღალი სიხშირის სატრანსპორტო მარშრუტები ძიირითად კორიდორებზე; მოედნებზე ინტერმოდალური გაჩერებები;
	სატვირთო და ლოგისტიკური სისტემა	ახალციხის არსებულ ტრანსსასაზღვრო ნაკადების საფუძველზე, სპეციალური და მოქნილი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ობიექტების განვითარება, მაგალითად როგორიცაა საზღვრის გადაკვეთის მომლოდინე სატვირთო ავტომობილებისთვის ღამის ავტოსადგომები.

სცენარი 3: ტრანსფორმაციული

ტრანსფორმაციული სცენარი ახალციხეს პოზიციონირებს როგორც დინამიკურ რეგიონულ ჰაბს, მისი სტრატეგიული მდებარეობის, ეკონომიკური პოტენციალისა და კულტურული აქტივების სრული გამოყენებით. იგი სცილდება ეტაპობრივი გაუმჯობესების მიდგომას და მიისწრაფვის უფრო ამბიციური, გარე პერსპექტივაზე ორიენტირებული განვითარების მოდელისკენ, რაც აძლიერებს ქალაქის როლს როგორც ეროვნულ, ისე ტრანსსასაზღვრო დონეზე.

სივრცითი თვალსაზრისით, ქალაქი აფართოებს თავის სტრუქტურას ახალი სპეციალიზებული ურბანული ცენტრების (კვანძების) და სტრატეგიული ზრდის არეალების განვითარებით, რაც გამყარებულია შესაბამისი ინვესტიციებით საბაზისო ინფრასტრუქტურაში. საზოგადოებრივი სივრცეები, მწვანე სისტემები და მდინარის დერეფანი გარდაიქმნება მისაწვდომ, უსაფრთხო, კეთილმოწყობილ და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგ გარემოდ, რომელიც მოიცავს უნიკალურ პარკებს, ურბანულ ტყეებსა და უწყვეტ მდინარისპირა პრომენადებს. ეს ინტერვენციები აუმჯობესებს ქალაქის იმიჯს, იზიდავს ინვესტიციებს და ქმნის ძლიერ სივრცით იდენტობას.

მმართველობითი შესაძლებლობები ძლიერდება ამ დონის ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად: იზრდება ინსტიტუციური შესაძლებლობები, ინერგება გადაწყვეტილების მიღების უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და უმჯობესდება მონიტორინგისა და იმპლემენტაციის მექანიზმები. ეს საშუალებას აძლევს ქალაქს, მართოს უფრო კომპლექსური პროექტები და წარმართოს ფართომასშტაბიანი განვითარება.

ნაშენ გარემოში ყურადღება გამახვილებულია რეგიონულ და ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანი, მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნაზე. ეს მოიცავს სოციალური ინფრასტრუქტურის განახლებას, ინვესტირებას ისეთ საკვანძო დაწესებულებებში, როგორიცაა საგანმანათლებლო ობიექტები, და ახალი საჯარო სივრცეებისა და ურბანული ტერიტორიების განვითარებას. საცხოვრებელი ფონდის საკითხი გვარდება კოორდინირებული მართვისა და გრძელვადიანი დაგეგმარების მეშვეობით, რასაც მხარს უჭერს მიზნობრივი სოციალური და მუნიციპალური პროგრამები. ხდება ტექნიკური სისტემების მოდერნიზაცია, მათ შორის განახლებადი ენერგიის გადაწყვეტების ინტეგრირება.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს სცენარი მნიშვნელოვნად აფართოებს ახალციხის როლს და იგი სატრანზიტო ქალაქის ფუნქციას სცილდება. ქალაქი ყალიბდება რეგიონულ მომსახურების, საწარმოო და ლოგისტიკურ ჰაბად, რაც ხელს უწყობს ისეთი სექტორების განვითარებას, როგორიცაა აგროგადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა. ხდება ინდუსტრიული ზონების სტრატეგიული განსაზღვრა და განვითარება, მათ შორის აუთვისებელი ტერიტორიების ხელახალი განვითარება. ტურიზმი იქცევა მთავარ მამოძრავებელ ძალად, ხოლო ქალაქი პოზიციონირდება როგორც საკვანძო ტურისტული დანიშნულების ადგილი და დამაკავშირებელი ცენტრი ეროვნულ და ამიერკავკასიურ მარშრუტებზე

მობილობის სისტემები ახლდება ამ გაფართოებული როლის მხარდასაჭერად. რკინიგზა სრულად არის ინტეგრირებული სატრანსპორტო ქსელში, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ძლიერდება მაღალი გამტარუნარიანობისა და პრიორიტეტული სისტემების მეშვეობით, ხოლო აქტიური მობილობის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ფართოვდება. პარკირება იმართება დინამიკური სისტემებისა და მობილობის ჰაბების მეშვეობით, რეალურ დროში მოქმედი ინსტრუმენტების — სენსორების, კამერების, საინფორმაციო ნიშნებისა და აპლიკაციების — გამოყენებით, რათა მოხდეს დატვირთულობის მონიტორინგი და, მოთხოვნის შესაბამისად, ინფორმაციის, ხელმისაწვდომობისა და ტარიფების რეგულირება. ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა ვითარდება იმისათვის, რომ ახალციხე ჩამოყალიბდეს რეგიონულ და ეროვნულ ლოგისტიკურ კვანძად, სომხეთისა და თურქეთის მიმართულებით ორი ტრანსნაციონალური დერეფნის გადაკვეთაზე.

მთლიანობაში, ეს სცენარი ამბიციურობის ახალ დონეს წარმოადგენს - იგი ახალციხეს ტრანზიტზე ორიენტირებული ქალაქიდან, რეგიონულ დანიშნულების ადგილად და ეკონომიკურ ჰაბად გარდაქმნის, რომელსაც შეუძლია ინვესტიციების მოზიდვა, სამუშაო ადგილების შექმნა და უფრო ფართო მასშტაბით კონკურენცია.

ახალციხის გარდაქმნა საცხოვრებლის, ინვესტიციებისა და გაცვლის რეგიონულ ჰაბად.

ტრანსფორმაციული სცენარი		
ჯგუფი	**თემები**	**სტრატეგია თითოეული თემისთვის**
A. ქალამშენებლობითი სტრუქტურა და მმართველობა	**მმართველობა**	ადგილობრივი კვალიფიციური კადრების გაზრდა, გადაწყვეტილების პროცესების და ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია, მონიტორინგი და მიმართულების კორექტირება
	ტერიტორიის განვითარება	ახალ, სპეციალიზებულ ურბანულ ცენტრებში (კვანძებში) სინვესტიციო მიმზიდველობის წახალისება, ხოლო გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე საბაზისო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა.
B. მწვანე ლურჯი და რეკრეაციული სისტემები	**მწვანე**	მასშტაბური, მაღალი ხარისხის გამორჩეული პარკების, ურბანული ტყეებისა და ხაზოვანი მწვანე კორიდორების განვითარება ქალაქის იმიჯის გაუმჯობესებისა, ტურიზმისა და ინვესტიციების განვითარების მიზნით.
	წყალი	მდინარის უსაფრთხო მონაკვეთებში უწყვეტი ნაპირსამაგრის დიზაინის შემუშავება (პრომენადები, პანორამული ხედვის ადგილები, ეკოლოგიური ზონები და საზოგადოებრივი თავშეყრისთვის სივრცეები).
	რეკრეაცია	რეგიონული/ეროვნული მნიშვნელობის, მიმზიდველი დანიშნულების ადგილის დონის რეკრეაციული სისტემის განვითარება, სტრატეგიული ინვესტიცია საზოგადოებრივ გართობაში
C. ნაშენი გარემო და სოციალური ინფრასტრუქტურა	**საცხოვრებელი**	საცხოვრებელი ფონდის ერთიანი და კომპლექსური მართვა, გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავება და სოციალური და მუნიციპალური პროგრამების განხორციელება.
	სოციალური ინფრასტრუქტურა	რეგიონულ და ეროვნულ დონეზე მაღალი კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი ინფრასტრუქტურის განვითარება (მაგ.: ახალციხის უნივერსიტეტში ინვესტირება)
	საჯარო სივრცე	ახალ განაშენიანებულ ზონებში ინვესტირება, ადგილობრივი გარემოს ფორმირება (placemaking) და საზოგადოებრივი სივრცეების ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა
	საინჟინრო ინფრასტრუქტურა	განახლებადი ენერგიის პოტენციალის სრულად ათვისება და გამოყენება
D. ეკონომიკა, კულტურა და იდენტობა	**ეკონომიკა**	ახალციხის ჩამოყალიბება რეგიონულ ჰაბად სამშენებლო ინდუსტრიისთვის, აგრარული წარმოებისთვის (შენახვა და ტრანსპორტირება), კავკასიური ლოგისტიკისთვის და ეროვნული და გლობალური ტურიზმისთვის"
	ინდუსტრია	ეროვნულ დონეზე განვითარებისათვის პრიორიტეტული სექტორების შერჩევა და ბრაუნფილდის ტერიტორიების (ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) რეაბილიტაცია/განვითარება ამ სექტორების განსათავსებლად. გრძელვადიან პერსპექტივაში (>15 წელი) შესაძლებელია ახალი ინდუსტრიული ზონებისთვის ტერიტორიების დარეზერვება.
	სოფლის მეურნეობა	"ჰაბის" როლის გაძლიერება აგრარული პროდუქტების ეროვნული და საზღვრისპირა ვაჭრობის მიმართულებით, კვების გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის ინტეგრაციით
	ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა	ახალციხის პოზიციონირება როგორც რეგიონის აქტიური ტურისტული ცენტრი და სტრატეგიული კარიბჭე ეროვნული და ტრანსკავკასიური მარშრუტებისთვის
E. მობილობა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა	**აქტიური მობილობა**	ველოსიპედის სრულფასოვანი ქსელის ბორდიურით გამიჯვნა; ელექტრომობილების ინფრასტრუქტურა; ტურისტული მარშრუტები
	ავტოსადგომი	დინამიკური ფასების სისტემა; "პარკ-ენდ-რაიდი" (გააჩერე და იმგზავრე საზ. ტრანსპორტით) მობილობის ცენტრებზე (ჰაბებზე) ; ტვირთგადაზიდვის დროითი შეზღუდვები
	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	რკინიგზის სისტემის ინტეგრაცია; რეგიონული სატრანსპორტო ქსელის გაძლიერება; ავტობუსებისთვის პრიორიტეტული ზოლების მოწყობა
	სატვირთო და ლოგისტიკური სისტემა	რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო სატვირთო ნაკადების მხარდასაჭერად მასშტაბირებადი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ტრანსსასაზღვრო ობიექტების, რაც მოიცავს როგორც სატვირთო ავტომობილების ღამის პარკირების სივრცეებს, ისე მოწინავე ლოგისტიკურ ჰაბებს შენახვის, კონსოლიდაციისა და გადაფუთვის ფუნქციებით.

სიცოცხლისუნარიანობის შეფასება

სცენარების სიცოცხლისუნარიანობის შეფასება განხორციელდა მრავალკრიტერიუმული ანალიზის (MCA) მეშვეობით, რომელიც გამოყენებულ იქნა ახალციხისთვის შემუშავებული სამი სტრატეგიული სცენარის მიმართ: პრაგმატული, ადაპტირებადი და ტრანსფორმაციული.

MCA გვთავაზობს სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე ჩარჩოს თითოეული სცენარის ფარდობითი ძლიერი მხარეებისა და შეზღუდვების შესაფასებლად სხვადასხვა თემატურ და სტრატეგიულ განზომილებაში, რაც ხელს უწყობს ინფორმირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

შეფასება ორგანიზებულია პროექტის ხუთი თემატური კლასტერის გარშემო, რომლებიც ჩამოყალიბდა კვლევისა და საწყისი ფაზის დროს, ხოლო მოგვიანებით დაიხვეწა საველე ვიზიტებისა და ხედვის სამუშაო შეხვედრების მეშვეობით. ამან უზრუნველყო თანმიმდევრულობა ანალიტიკურ ფაზას, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესსა და სცენარების შეფასებას შორის. ეს ხუთი კლასტერია:

- A. სივრცითი სტრუქტურა და მმართველობა
- B. მწვანე, ლურჯი და რეკრეაციული სისტემები
- C. ნაშენი გარემო და სოციალური ინფრასტრუქტურა
- D. ეკონომიკა, კულტურა და იდენტობა
- E. მობილობა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა

თითოეული კლასტერი დამატებით დაიყოფილია ქვეთემებად, რაც ასახავს კვლევის მიმოხილვის, საველე ვიზიტებისა და მონაწილეობითი სამუშაო შეხვედრების დროს გამოკვეთილ ძირითად საკითხებს. ეს მიდგომა შესაძლებელს ხდის შეფასების უფრო დეტალურ დონეზე განხორციელებას, რაც საშუალებას იძლევა სცენარები შეფასდეს არა მხოლოდ ფართო თემატური კლასტერების მასშტაბით, არამედ თითოეულ კლასტერში შემავალ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

თითოეული კლასტერისა და ქვე-თემის ფარგლებში, სცენარები შეფასდა საერთო კრიტერიუმების საფუძველზე:

- ეროვნულ პოლიტიკასთან შესაბამისობა;
- განვითარების ზეგავლენა;
- განხორციელების რისკი;
- გარემოზე ზემოქმედება;
- ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა.

აღსანიშნავია, რომ კრიტერიუმი ეროვნულ პოლიტიკასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით დაკორექტირდება და ჩაენაცვლება მუნიციპალურ ხედვასა და სტრატეგიულ დოკუმენტებთან შესაბამისობით, მას შემდეგ, რაც აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახდება.

შედარებადობის უზრუნველსაყოფად, ყველა სცენარი შეფასდა სტანდარტიზებული 1–5 ქულიანი სისტემის გამოყენებით. ქულა 5 აღნიშნავს მაღალ შესრულებას, მკაფიო სარგებელს ან მაღალ სიცოცხლისუნარიანობას; ქულა 3 მიუთითებს საშუალო ეფექტიანობაზე, ნაწილობრივ სარგებელზე ან ნაწილობრივ გაურკვევლობაზე; ხოლო ქულა 1 აღნიშნავს დაბალ ეფექტიანობას, შეზღუდულ სარგებელს ან მნიშვნელოვან გამოწვევებს.

ქულები 2 და 4 გამოყენებულ იქნა იმ შემთხვევებში, როდესაც შეფასება ამ საორიენტაციო დონეებს შორის იყო.

განხორციელების რისკის შეფასებისას სკალა ინვერსიულად იქნა გამოყენებული, რათა მაღალი ქულები კვლავ უფრო ხელსაყრელ შეფასებას აღნიშნავდეს. კერძოდ, ქულა 5 მიუთითებს დაბალ რისკსა და მაღალ სანდოობაზე; ქულა 3 — საშუალო რისკზე ან გარე ფაქტორებზე დამოკიდებულებაზე; ხოლო ქულა 1 — მაღალ რისკსა და რთულ განხორციელებაზე. ქულები 2 და 4 აღნიშნავს რისკის შუალედურ დონეებს.

ქულების მინიჭება განხორციელდა თითოეულ თემატურ სფეროზე პასუხისმგებელი შესაბამისი ექსპერტების მიერ. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასება მომზადდა ადგილობრივი გარემოსდაცვითი ექსპერტის მიერ, ხოლო ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა-ადგილობრივი და საერთაშორისო ეკონომიკური ექსპერტების მიერ ერთობლივად. ამან უზრუნველყო, რომ შეფასება დაფუძნებულიყო სპეციალიზებულ ცოდნაზე და ასახულიყო როგორც ადგილობრივი, ისე ტექნიკური პერსპექტივები.

იმის ნაცვლად, რომ საუკეთესო სცენარი მხოლოდ კლასტერების დონეზე გამოვლენილიყო, მეთოდოლოგიამ ასევე შესაძლებელი გახადა უფრო მიზნობრივი შეფასება იმისა, თუ რომელი სცენარი აჩვენებს საუკეთესო შედეგს თითოეული კონკრეტული ქვე-თემისთვის.

დეტალური გათვლები თითოეული კლასტერისა და ქვე-თემისთვის მოცემულია Excel-ის ფაილებში, რომლებიც თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს დანართების სახით.

კლასტერი A/B/C/D/E					
	კრიტერიუმი	**წონა**	**პრაგ.**	**ადაპ.**	**ტრან.**
საკითხი 1/2/3/4/5	ეროვნულ პოლიტიკ. შესაბამისობა	0,15			
	განვითარების ზეგავლენა	0,25			
	განხორციელების რისკი	0,2			
	გარემოზე ზემოქმედება	0,2			
	ეკ. სიცოხლის-უნარიანობა	0,2			
	ჯამი				

მრავალფაქტორული ანალიზი (MCA)			
ჯგუფი	**თემები**	**უმაღლესი შეფასების სცენარი (MCA)**	**სტრატეგია თითოეული თემისთვის**
A. ქალამშენებლობითი სტრუქტურა **და მმართველობა**	**მმართველობა**	**ტრანსფორმაციული**	ადგილობრივი კვალიფიციური კადრების გაზრდა, გადაწყვეტილების პროცესების და ინსტრუმენტების დივერსიფიკაცია, მონიტორინგი და მიმართულების კორექტირება
	ტერიტორიის განვითარება	**ადაპტირებადი**	მომავალი განვითარებისათვის გარკვეული ტერიტორიების დარეზერვება, დროებითი გამოყენებების დაშვებით და ეტაპობრივი განვითარებით.
B. მწვანე ლურჯი და რეკრეაციული სისტემები	**მწვანე**	**ტრანსფორმაციული**	მასშტაბური, მაღალი ხარისხის გამორჩეული პარკების, ურბანული ტყეებისა და ხაზოვანი მწვანე კორიდორების განვითარება ქალაქის იმიჯის გაუმჯობესებისა, ტურიზმისა და ინვესტიციების განვითარების მიზნით.
	წყალი	**ადაპტირებადი**	მდ. ფოცხოვის ნაპირის ფორმირება მართულ, ურბანულ, ლურჯ-მწვანე დერეფნად და არა მხოლოდ ტექნიკურ სადრენაჟე სისტემად
	რეკრეაცია	**ადაპტირებადი**	მოედნების გადაგეგმარება, ყოველდღიურ სოციალურად აქტიურ სივრცეებად გარდაქმნის მიზნით - მეტი მწვანე საფარით, ჩრდილითა და აქტიური საზღვრებით; პოტენციური პარკის გაფართოებისთვის ტერიტორიების დარეზერვება.
C. ნაშენი გარემო **და სოციალური** **ინფრასტრუქტურა**	**საცხოვრებელი**	**ადაპტირებადი**	მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების გაუმჯობესება, მათი მოვლა-პატრონობის მოდელების შეფასება და ოპტიმიზაცია, ენერგოეფექტიანობისა და ფასადის ელემენტების გაუმჯობესების გათვალისწინებით.
	სოციალური ინფრასტრუქტურა	**ადაპტირებადი**	სოციალური ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება არსებული ობიექტების რეაბილიტაციის, მოვლა-პატრონობისა და მოდერნიზაციის გზით, მათი ფიზიკური მდგომარეობის, ფუნქციურობის, უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.
	საჯარო სივრცე	**ადაპტირებადი**	საჯარო სივრცეების განახლება და მონაცემებზე დაფუძნებით გაფართოება, ღია კონკურსებით და კონკურენტული შერჩევის მექანიზმებით.
	საინჟინრო ინფრასტრუქტურა	**პრაგმატული**	საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემის, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი და სანიაღვრე ქსელის პრობლემური უბნების რეაბილიტაცია.
D. ეკონომიკა, კულტურა და იდენტობა	**ეკონომიკა**	**ადაპტირებადი**	ქალაქის ძირითადი მამოძრავებელი სექტორების (ტურიზმი, სამშენებლო ბიზნესი/სამშენებლო მასალები, ლოგისტიკა) განსაზღვრა და გაფართოება, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ რეგიონულ/ეროვნულ დონეზე.
	ინდუსტრია	**ტრანსფორმაციული**	ეროვნულ დონეზე განვითარებისათვის პრიორიტეტული სექტორების შერჩევა და ბრაუნფილდის ტერიტორიების (ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში) რეაბილიტაცია/განვითარება ამ სექტორების განსათავსებლად. გრძელვადიან პერსპექტივაში (>15 წელი) შესაძლებელია ახალი ინდუსტრიული ზონებისთვის ტერიტორიების დარეზერვება.
	სოფლის მეურნეობა	**ტრანსფორმაციული**	“ჰაბის” როლის გაძლიერება აგრარული პროდუქტების ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაში, კვების გადამუშავების ობიექტებთან შესაძლო კომბინაციით
	ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა	**ადაპტირებადი**	სერვის ინდუსტრიისა და ტურისტული პროდუქტების გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ეკო-ტურისტული მარშრუტების განვითარება.
E. მობილობა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა	**აქტიური მობილობა**	**ადაპტირებადი**	მდინარის დერეფნის გარდაქმნა აქტიური მობილობის ძირითად ღერძად; მოედნებზე ქვეითთა პრიორიტეტის უზრუნველყოფა; ველოსიპედის ქსელის განვითარება
	ავტოსადგომი	**ტრანსფორმაციული**	დინამიკური ფასების სისტემა; “პარკ-ენდ-რაიდი” (გააჩერე და იმგზავრე საზ. ტრანსპორტით) მობილობის ცენტრებზე (ჰაბებზე) ; ტვირთგადაზიდვის დროითი შეზღუდვები
	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	**ტრანსფორმაციული**	რკინიგზის სისტემის ინტეგრაცია; რეგიონული სატრანსპორტო ქსელის გაძლიერება; ავტობუსებისთვის პრიორიტეტული ზოლების მოწყობა
	სატვირთო და ლოგისტიკური სისტემა	**ადაპტირებადი**	ახალციხის არსებულ ტრანსსასაზღვრო ნაკადების საფუძველზე, სპეციალური და მოქნილი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ობიექტების განვითარება, მაგალითად როგორიცაა საზღვრის გადაკვეთის მომლოდინე სატვირთო ავტომობილებისთვის ღამის ავტოსადგომები.

ახალციხის სასურველი გზა

მრავალკრიტერიუმული ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ ახალციხის მომავალი განვითარება მიზანშეწონილია განისაზღვროს როგორც ჰიბრიდული განვითარების გზა და არა როგორც ერთიანი, დომინანტური სცენარი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ადაპტირებად სცენარს აქვს, რომელიც შერჩეული სტრატეგიების 59 პროცენტს მოიცავს. ეს მიუთითებს, რომ ქალაქისთვის ოპტიმალური მიმართულება არ გულისხმობს არც მინიმალურ ჩარევას და არც ყველა სფეროში სრულმასშტაბიან გარდაქმნას, არამედ ეფუძნება სტრუქტურირებულ გაუმჯობესებას, ეტაპობრივ განახლებასა და კოორდინაციის გაძლიერებას.

აღნიშნული მიდგომა ნათლად იკვეთება რამდენიმე თემატურ მიმართულებაში. ნაშენი გარემოსა და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში უპირატესობა ენიჭება არსებული საცხოვრებელი ფონდის, საჯარო სივრცეების და სოციალური ინფრასტრუქტურის ხარისხობრივ გაუმჯობესებას და არა სრულიად ახალი ურბანული სისტემების შექმნას. ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით აქცენტი კეთდება არსებული რესურსების გაფართოებასა და გაძლიერებაზე, ქალაქის მიმზიდველობისა და კავშირების გაუმჯობესებაზე, მხოლოდ მსხვილ და სიმბოლურ პროექტებზე დამოკიდებულების გარეშე. სატვირთო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის სფეროშიც დომინირებს ადაპტირებადი ვარიანტი, რაც მიუთითებს, რომ პრიორიტეტულია ნაკადების უფრო ეფექტიანი ორგანიზება და მართვა და არა ქალაქის რადიკალური გადაგეგმვა მათი გათვალისწინებით.

ამავე დროს, ანალიზი ცხადყოფს, რომ კონკრეტულ მიმართულებებში გარდამქმნელი ჩარევები აუცილებელია. ეს განსაკუთრებით ეხება მმართველობას, მწვანე სისტემებს, ეკონომიკისა და იდენტობის გარკვეულ ასპექტებს, ასევე მობილობისა და ტექნიკური ინფრასტრუქტურის ცალკეულ ელემენტებს, განსაკუთრებით პარკირებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაწილში. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხედვის საერთო სტრუქტურა ადაპტირებადია, გარკვეული სტრატეგიული სფეროები უფრო მაღალი ამბიციისა და ცვლილების სიღრმეს საჭიროებს. სწორედ ეს მიმართულებები განსაზღვრავს ახალციხის გრძელვადიან როლს მის რეგიონულ ეკონომიკურ ფუნქციას, საჯარო იმიჯს, გარემოს ხარისხსა და მობილობის სისტემებს.

პრაგმატული ალტერნატივი (სტრატეგიების) შედარებით მცირე წილი ადასტურებს, რომ ახალციხის გამოწვევა მხოლოდ განვითარების შენელების ან სტაგნაციის სტაბილიზაციით არ შემოიფარგლება. საბაზისო საინჟინრო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა კვლავ აუცილებელია, თუმცა იგი ვერ განსაზღვრავს ქალაქის მომავალ მიმართულებას. ქალაქს სჭირდება არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, არამედ შერჩევითი (მიმართული) განახლება და მიზნობრივი გარდაქმნა.

შედეგების მნიშვნელოვანი უპირატესობაა თემატურ მიმართულებებს შორის ურთიერთგაძლიერება. მობილობის გაუმჯობესება ხელს უწყობს ეკონომიკურ აქტივობას მისაწვდომობის, ლოგისტიკური ეფექტიანობისა და რეგიონული კავშირების გაძლიერების გზით. მწვანე და ლურჯი ინფრასტრუქტურის ჩარევები, განსაკუთრებით მდინარის დერეფნის გასწვრივ, ზრდის გარემოსდაცვით მდგრადობას და ამავდროულად აუმჯობესებს ქალაქის სივრცით ხარისხსა და მიმზიდველობას. საჯარო სივრცეების, საცხოვრებელი გარემოსა და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ზრდის ყოველდღიური ურბანული ცხოვრების ხარისხს, რაც თავის მხრივ აძლიერებს ტურიზმს, ადგილობრივ სერვისებსა და ქალაქის იდენტობას. ამგვარად, არჩეული განვითარების გზა არ წარმოადგენს იზოლირებულ ღონისძიებათა ერთობლიობას, არამედ ურთიერთდაკავშირებულ სტრატეგიულ ჩარჩოს, სადაც ერთ მიმართულებაში მიღწეული პროგრესი ხელს უწყობს სხვა მიმართულებებში წინსვლას.

საბოლოოდ, მრავალკრიტერიუმული ანალიზი მიუთითებს განვითარების მოდელზე, სადაც ადაპტირებადი ზომები ქმნის ძირითად ბირთვს, ტრასფორმაციული სტრატეგიბის მოქმედებს, როგორც სტრატეგიული მამოძრავებელი ძალა, ხოლო პრაგმატული სტრარეგიები შემოიფარგლება აუცილებელი ტექნიკური გაუმჯობესებებით. აღნიშნული მიდგომა ახალციხეს სთავაზობს რეალისტურ, თუმცა ამბიციურ განვითარების მიმართულებას, რომელიც აძლიერებს ქალაქის შიდა პოტენციალს და თანდათანობით აყალიბებს მას უფრო მკაფიოდ როგორც რეგიონულ ცენტრს.

შენიშვნა: მრავალკრიტერიუმული ანალიზის შედეგები, დამკვეთთან და დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებისა და დაზუსტების შემდეგ, საფუძვლად დაედება მიზნების, ამოცანების, სტრატეგიებისა და ტაქტიკების (ღონისძიებების) ჩარჩოს საბოლოო ფორმირებას. აღნიშნული პროცესი მოიცავს თითოეული მიზნის ფარგლებში მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სტრატეგიებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა შესაბამისი თემატური მიმართულების ასახვა. თითოეულ სტრატეგიას თან დაერთვება პრიორიტეტული პროექტების ჩამონათვალი, რომელიც ტაქტიკური ღონისძიებების ნაწილში იქნება წარმოდგენილი. დასრულებული სტრუქტურა საფუძველს შექმნის მომდევნო ეტაპისთვის - გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავებისთვის.

რისკები, რეკომენდაციები და შემდგომი ნაბიჯები

პროექტის საკითხები და რისკები

პროექტის წარმატება დამოკიდებულია დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრეებს შორის ეფექტურ თანამშრომლობასა და კოორდინაციაზე. განსხვავებული ინტერესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების მქონე მხარეების ჩართულობამ შესაძლოა წარმოშვას კონფლიქტების ან ვადების გადაცილების რისკები.

ამ რისკის შესამცირებლად, პროექტის მენეჯმენტი პრიორიტეტს მიანიჭებს ღია დიალოგს, ხელს შეუწყობს თანამშრომლობას და გამოიყენებს გადაწყვეტილების მიღების მკაფიო და სტრუქტურირებულ ჩარჩოს.

ეს მიდგომა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის აზრის მოსმენასა და მათ აქტიურ მონაწილეობას პროექტის მიმართულების ჩამოყალიბებაში.

შესაბამისად, მე-2, მე-3 და მე-4 ფაზების ფარგლებში დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებზე დაინტერესებულ მხარეთა დასწრება და აქტიური ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

პროექტის რისკების მკაფიო აღქმის ხელშესაწყობად, კონსულტანტმა მოახდინა ძირითადი რისკების იდენტიფიცირება და შეფასება მათი მოხდენის ალბათობის მიხედვით, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. შეფასებისთვის გამოყენებულია რისკის ალბათობის რეიტინგის შემდეგი სკალა:

1- ნაკლებად სავარაუდო

2- საშუალო

3- ძალიან სავარაუდო

საკითხი /რისკები	**ალბათობა**	**შემარბილებელი ღონისძიებები**
ადგილობრივი მოქალაქეებისა და ორგანიზაციების დაბალი ჩართულობა კონკურენტული პრიორიტეტებისა და გარე კონტექსტუალური ფაქტორების გამო.	2	ნეიტრალური, კონსტრუქციული და ძირითად დაინტერესებულ მხარეებზე მორგებული კომუნიკაციის სტრატეგიის გამოყენება.
რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტებმა გეგმა მხოლოდ მარეგულირებელ დოკუმენტად აღიქვან და, შესაბამისად, თავი შეიკავონ მიმდინარე ქმედებებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისგან, რაც შეზღუდავს გეგმის სისრულეში მოყვანასა და სარგებლიანობას.	2	გეგმის მიზნისა და სტრუქტურის მკაფიო განმარტება, მაგალითების გაზიარება და შესაბამისი ინსტრუმენტების დემონსტრირება.
მიუხედავად იმისა, რომ ორივე პროექტი ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება, კონცეფციის ფაზის შემდეგ მათი ვადები შესაძლოა გაიმიჯნოს განხილვისა და დამტკიცების განსხვავებული პროცესების გამო. ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილზე ვიზიტებისა და მგზავრობის დაგეგმვაზე, რომელთა ბიუჯეტი გათვლილი იყო იმ დაშვებით, რომ ორივე ქალაქის პროცესი პარალელურად წარიმართებოდა და სამუშაო შეხვედრები ერთი კვირის განმავლობაში ჩატარდებოდა.	3	დამკვეთთან მჭიდრო კოორდინაციის შენარჩუნება დამტკიცების ვადების მონიტორინგისა და საკვანძო ეტაპების წინასწარ დადასტურების მიზნით. ვადების მნიშვნელოვანი აცდენის შემთხვევაში, დამკვეთთან განახლებულ გრაფიკსა და სამივლინებო ხარჯებზე შეთანხმება, პროექტის მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად.
ვინაიდან "მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარების დოკუმენტი" საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს კოორდინაციით პარალელურად მზადდება და კონსულტანტი ამ პროცესის შესახებ მხოლოდ ჰიბრიდული სემინარის დროს იქნა ინფორმირებული, არსებობს რისკი, რომ ორი დაგეგმვის პროცესის მიმდინარე განვითარება სრულად არ იყოს თანხვედრაში. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს შემოთავაზებული ხედვის თანმიმდევრულობაზე და შექმნას სირთულეები კონცეფციის გეგმის განხორციელებისა და დამტკიცების შემდგომ ეტაპებზე.	3	შესაბამისი დოკუმენტაციის ოფიციალური მოთხოვნის შემდეგ, კონსულტანტს გადაეცა ხედვის სტრატეგიის ანგარიშის პროექტი. თუმცა, დოკუმენტი მოკლეა და ჯერ კიდევ ძალიან საწყის ეტაპზეა. ამიტომ, კონსულტანტმა დაგეგმვის მთელი პროცესის განმავლობაში მჭიდრო კომუნიკაცია უნდა შეინარჩუნოს როგორც მუნიციპალიტეტთან, ასევე სამინისტროსთან, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა განვითარებად სტრატეგიულ ხედვასა და გენერალურ გეგმას შორის.

რეკომენდაციები

კონსულტანტის რეკომენდაციაა დამკვეთთან მჭიდრო და უწყვეტი კომუნიკაციის შენარჩუნება კომუნიკაციის შეთანხმებული გზების შესაბამისად. ორკვირეული შეხვედრები უნდა დარჩეს მოკლე და ფოკუსირებული; მათი მიზანი უნდა იყოს პროგრესის მიმოხილვა, პოტენციური გამოწვევების იდენტიფიცირება და პროექტის მხარდასაჭერად გადაწყვეტილებებზე პროაქტიული შეთანხმება.

კონსულტანტი ასევე ხაზს უსვამს ორივე ქალაქისთვის გენერალური დაგეგმარების პროცესის პარალელურად წარმართვის მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქალაქს განსხვავებული კონტექსტი და განვითარების საჭიროებები აქვს, ისინი ერთი და იმავე სახელშეკრულებო ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენენ. ორივე პროცესის თანხვედრის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს შეუფერხებელ კოორდინაციას, სამუშაოს შესრულების თანმიმდევრულობასა და უფრო ეფექტურ იმპლემენტაციას.

აქედან გამომდინარე, კონსულტანტი გასცემს რეკომენდაციას, რომ პროექტის განმავლობაში, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ორივე ქალაქის განვითარება სინქრონულ რეჟიმში. ამის მიღწევა მოითხოვს აქტიურ კოორდინაციასა და ყველა ჩართული დაინტერესებული მხარის მხრიდან მუდმივ მხარდაჭერას.

გარდა ამისა, კონსულტანტი რეკომენდაციას უწევს, დამკვეთის მხარდაჭერით, მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაგეგმარების ორ პროცესს შორის თანხვედრა და თავიდან იქნას აცილებული პოტენციური კონფლიქტები შემდგომ ეტაპებზე.

შემდგომი ნაბიჯები

ხედვის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, კონსულტანტი გააგრძელებს მონაცემთა შეგროვების, ხარვეზების აღმოფხვრისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიმდინარე პროცესს, როგორც ეს განსაზღვრულია „დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში“.

დამკვეთისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან შენიშვნების მიღების შემდეგ, კონსულტანტს ექნება 10 სამუშაო დღე ანგარიშის გადასახედად და შესწორებული ვერსიების წარსადგენად. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება დამატებითი განმარტებები, დამკვეთსა და კონსულტანტს, ან სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის, მოეწყობა დამატებითი განხილვისა და საკოორდინაციო შეხვედრები.

ელექტრონული დანართები:

დანართი 1: SEP

დანართი 2: MCA

პროექტი: საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (PRF)

სესხის ნომერი: 6024-GEO

დავალება: ახალციხისა და ოზურგეთის ქალაქების გენერალური გეგმები

ხელშეკრულების ნომერი: SUDA/LCIP/QCBS-07

Cityförster
architecture + urbanism

Keilestraat 9 K1
NL- 3029 BP Rotterdam
+31 (0) 10 414 68 41
rotterdam@cityfoerster.net

www.cityfoerster.net

BAU Design

3 Ana Politkovskaia St, Tbilisi
(+995) 599 433 537
office@baudesign.ge

www.baudesign.ge

Buck Consultants International

Kerkenbos 10-31 | Nijmegen
The Netherlands
+31 243790222
bci@bcigloal.com

www.bciglobal.com

cityförster
architecture + urbanism
BAU DESIGN
BCI Global